საბა

№4(196)
აპრილი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

ქრისტე აღდგა!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ძვირფასო დანო და ძმანო,

ყოველწლიურად, ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, იბადება ერთი და იგივე კითხვა, რომელიც საჭიროებს პასუხს: რას ნიშნავს აღდგომა?

იესოს მკვდრეთით აღდგომა, უპირველეს ყოვლისა, **არის მოვლენა, რომელიც უნდა იწამო.** ამაზე გვესაუბრება სახარება (იოანე 20,1-9). ცარიელი საფლავი, აღმდგარის გამოცხადებები და მოციქულთა მოწმობანი წარმოადგენენ ძირითად არგუმენტებს ამ დიდებული მოვლენის ისტორიულობის სასარგებლოდ. მღვდელმთავართა მიერ მოფიქრებული ტყუილი ამბავი, რომელიც მათ ჯარისკაცებს მიანდეს გასავრცელებლად, ეჭვქვეშ არ აყენებს იმას, რაც გადმოგვეცა მოციქულებისა და პირველი ეკლესიისაგან.

მაგრამ, ასევე, იესოს მკვდრეთით აღდგომაში იკვეთება ღვთის განსაკუთრებული ჩარევა ისტორიაში, მხსნელი მოვლენა, ანუ ისეთი რამ, რასაც მოაქვს ხსნის მადლი მისთვის, ვინც იღებს მას რწმენის მეშვეობით.

ჩვენი, როგორც ქრისტიანების, უპირველესი დამოკიდებულება აღდგომის მიმართ უნდა იყოს რწმენა: მისი მეშვეობით ღმერთი გვიბოძებს იმ ნათელს, რომელიც საკმარისია, რათა ვისაც სურს იწამოს აღდგომის, მან იწამოს, ხოლო ვისაც არ სურს იწამოს – არ იწამოს.

იესოს აღდგომა, ასევე, არის **მოვლენა, რომელიც უნდა განიცადო.** ესაა მოციქულ პავლეს მოწოდება: „თუ თქვენ აღდექით ქრისტესთან ერთად, ეძიეთ მაღლა... ზეციერზე იფიქრეთ“ (კოლოსელთა მიმართ 3,1-2). იგი შეხვდა აღმდგარ უფალს დამასკოს გზაზე და მისგან მიიღო მოქცევის მადლი. არა მხოლოდ პავლეს სიტყვები, არამედ მისივე მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორაა შესაძლებელი ცხოვრების გარდაქმნა აღმდგარ იესოსთან შეხვედრის ძლიერი გამოცდილების შედეგად.

აღდგომის განცდა ნიშნავს ახლებურად ფიქრს, ახალ ფიქრებს, ახალი მიზნებისთვის ფიქრს. ეს გულისხმობს ერთგვარი, თანამედროვე მენტალობის გადალახვას, მენტალობისა, რომელსაც ძლიერად ვყავართ მიჯაჭვული ამქვეყნიურზე, მიწიერ საქმეებზე, იმპულსურ ინტერესებზე, ჩვენს პატარა და ბრმა გეგმებზე. ამის საწინააღმდეგოდ, აღდგომა ჩვენგან ითხოვს უფრო დიდებულზე ფიქრს, რომ შთაგონება მივიღოთ იესოს სახარებისგან და მისი იდეალებისაგან, გავიფართოვოთ ჩვენი გონება, თვალსაწიერი მისიისა და უფლის სასუფევლის უკიდეგანო ჰორიზონტებზე.

და ბოლოს, იესოს აღდგომა არის **მოვლენა, რომელიც უნდა აუწყო.** მოციქული ლუკა ცხადად და დამაჯერებლად გვიმოწმებს ამას (საქმე მოციქულთა, 10, 34-43). ეს მაშინვე გააცნობიერეს მოციქულებმა, რომლებმაც, პეტრეს პირით, არ დააყოვნეს იესოს ვნებისა და სიკვდილის გახსენება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირება მოახდინეს მისი აღდგომის უწყებაზე. ქალებიც იესოს აღდგომის მოწმენი გახდნენ: ეს მოწმობა იყო იმდენად ძვირფასი, რამდენადაც დაუფასებელი მაშინდელ საზოგადოებაში.

აუწყო ქრისტეს აღდგომა – ნიშნავს, გულში გქონდეს მისი უპირველესი სააღდგომო ძღვენი: მშვიდობა!

ამგვარად, ქრისტეს აღდგომის უწყება ჩვენთვის ნიშნავს მშვიდობით ცხოვრებას, მშვიდობის სიტყვების წარმოთქმას, მშვიდობის ჟესტებს, სამშვიდობო უწყებებს, მშვიდობის მარცვლების თესვას ჩვენს ოჯახებში, ჩვენს საეკლესიო საკრებულოებში, სამოქალაქო საზოგადოებაში.

ამ გრძნობებით ვანახლებ თქვენს წინაშე, ძვირფასო მორწმუნენო, ყველაზე მხურვალე მოლოცვას კეთილი და წმინდა აღდგომისა. უნდა აღვნიშნო, რომ ერთი ნამდვილი ცოდვა, რომელიც შეგვიძლია ჩავიდინოთ ამ დღეებში, არის ის, რომ გულგრილნი დავრჩეთ იესოს მკვდრეთით აღდგომის მიმართ.

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“

(მათე 27, 46)

ტანჯვა ის უფსკრულია, რომელიც სავსებით ვერასოდეს განათდება. ამაზე *წმიდა წერილის* მრავალი გვერდი გვესაუბრება, დაწყებული ყოველივეს წარმავლობისა და ამაოების გამო ეკლესიასტეს ჩიოილიდან და დამთავრებული იესოს სასოწარკვეთილი ძახილით, რომელიც, ჯვარზე გაკრული, თვით ზეციერ მამას შესჩივლებს თავის მარტოობას. ბოროტება, ხორცს იმ ფორმით რომ ეხება, რითაც სატანა იწვევს უფალს იობის მისტერიულ ამბავში, რომელიც საბოლოოდ მაინც დანყეკლის თავის გაჩენის დღეს, ის ავთენტიკური ბოროტებაა, რასაც ყოველი ეპოქის ლიტერატურა და მხატვრობა, თეატრი, კინო და ფოტოხელოვნება, ფილოსოფია და აზროვნება თავის უპირატეს თემად აქცევს.

ალბათ მრავალს, მორწმუნესა თუ ურწმუნოს, აწვალებს ფიქრი ღვთის წყალობაზე: მას, ვინც თავზე ადგას აგონიაში მყოფ ავადმყოფს სახლსა თუ საავადმყოფოში; მოხუც მამას, რომელიც აღსასრულის ჟამს ცახცახებს, ტირის და განიცდის საკუთარი სხეულის დაუძლურებას და ძეს, რომელიც მოთმინებით ანუგეშებს, ზრუნავს მასზე; მაგრამ ფარხმალს ყრის თავისი საბოლოო ხვედრის წინაშე: სადაა ღვთის წყალობა, ამდენი ტკივილის ჟამს? და, ვიდრე ადამიანი თავად არ განიცდის აგონიას, ან სინანულს სრულიად უდანაშაულო ადამიანის მიმართ ჩადენილ ბოროტებათა გამო, ეს ეჭვი შეიძლება ღვთის გმობად მოგვეჩვენოს; მე კი მჯერა, რომ ამ გზით ადამიანი მთელი ძალით აკაკუნებს ღვთის მოჩვენებითი დუმილის წინაშე, დუმილის, რომელიც ზოგჯერ ჩვენს პირად ცხოვრებაში, ანდა კაცობრიობის ისტორიაში გაცხადებულა ისე, როგორც ეს ბენედიქტე XVI-მ წარმოთქვა აუშვიცში: „უფალო, რატომ დუმდი?“

თვით ისეთი ბუმბერაზიც კი, როგორიც იყო დოსტოევკი, როდესაც ტანჯვის სიბნელეში შეაღწევს, გმობს ამ მოლიცლიცე პატარა სინათლეს და ჩრდილებს აძლევს გასაქანს, რათა შემოუშვან ერთ-ერთი საუკეთესო იმ უამრავი კარიდან, რასაც მის ნაწარმოებებში „იდიოტი“ და „დანაშაული და სასჯელი“ ვხვდებით – ანუ შემოუშვან სინათლის სხივი, რომელიც იმედის უკანასკნელ შანსს ტოვებს. უფრო მარტივად კი, ეს არის ტკივილის შეგრძნება, რაც უმრავლეს შემთხვევაში ადამიანში იწვევს სიბრაზეს, ღვთის გმობას... ან პირიქით, აღვივებს რწმენასა და ნდობას.

რა ცდუნების წინაშე დგას დღეს ადამიანი, როდესაც ღმრთის სიახლოვეს გრძნობს? უდანაშაულოს ტკივილი, ღვთის დუმილი იქნებ... ისეთ რეაქციას იწვევს მასში, რაც, სასოწარკვეთის ამ უფსკრულში, კაცის ძის ადამიანური და ღვთიური სახიდან თავად ქრისტეს სახეს წაშლის? განა ასე არ ხდება დღეს მრავალ ოჯახსა თუ საავადმყოფოში, როდესაც ქრისტეს ტკივილს შორეულად და აბსტრაქტულად აღიქვამენ? ის, რაც დღეს მრავალ ქრისტიანში ნაკლებად ცოცხლობს, არის აზრი, რომ სიბერესა და აგონიაში ქრისტე არ მოგვხედავს, მაგრამ იესო ისევეა ტანჯული თითოეულ ადამიანში, როგორც თავის ვნებულ სხეულში.

უყურებდე დაუძლურებულ მოხუცს, ნიშნავს, რომ მასში ხედავდე ქრისტეს ნატანჯ სახეს, – ადამიანური ტანჯვის სიმბოლოს, – იმას, რაც ღვთის ძემ თავად გადაიტანა ვნების ჟამს. განა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები არ გახმიანდება მომაკვდავი მოხუცის გოდებაში: *„შესაზიზღი იყო ის და კაცთაგან მიტოვებული, გატანჯული და დასნეულებული. და ჩვენ სახეს ვარიდებდით მას, შესაზიზღი იყო და არაფრად ვაგდებდით“ (ეს. 53, 3).*

ყველამ კარგად ვიცით, როგორ გვიჭირს ღონემიხდილ და სახეცვლილ ადამიანში მისი ღირსების აღიარება. ეს რომ მოვახერხოთ, – რაც ყოველთვის არ გამოგვდის, – მთელი ჩვენი სიყვარული და პატივისცემა უნდა უნდა გამოვავლინოთ. საკმარისი არაა მხოლოდ სხვისი ტკივილის უსაზღვროდ გამზიარებელი გული, საჭიროა ცოცხალი გონებაც.

დაუძლურებული და ტანჯული ადამიანის ღირსების აღიარება არის მოვალეობა, რაც ქრისტემ გამოხატა თავისი განხორციელებით, რათა შემდგომ, ვნების ჟამს გოლგოთაზე ასულიყო. მაშ, იესოს სიტყვები: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ რასაც მწერლები იშველიებენ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში, როგორც სახარების ყველაზე სიმბოლურ პასაჟს, წმიდა წყლის შემთხვევაა? ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე ჟან-ლუკა მარიონი, სახარების ამ ფრაზასთან დაკავშირებით, ასე წერს: „მშვენივრად მესმის, რომ დღეს ყველაზე მეტად შეიძლება მოვინუსხოთ ამ სიტყვებით, რაც გარეგნულად აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რასაც შეიძლება ველოდოთ იესოსგან. მჯერა, ეს არის სულის ის გამოძახილი, რასაც ასე ხშირად ვხვდებით თანამედროვე ადამიანებში, რომლებიც ხშირად სრულიად გაუცნობიერებლად წარმოთქვამენ ამ სიტყვებს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ ეს ჩვენ მივატოვეთ ღმერთი. ამასთან დაკავშირებით, ნიცშე მართალი იყო, როდესაც ღვთის სიკვდილზე დაიწყო საუბარი და დასვა კითხვა, თუ რად მოვკალით ღმერთი. მაშასადამე, ეს სიტყვები შემდეგი სიტყვების ტოლფასია: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად დართე ადამიანებს ნება, რომ მიეტოვებინე?“

გვჯერა თუ არ გვჯერა, ღვთის ძის ტანჯვისა და სიკვდილის რეალური ამბავი, ანუ ჯვარი, თითოეული ადამიანის ცხოვრების კუთვნილებაა, როგორც ფორმით, ასევე განსხვავებული შემთხვევებით. სინამდვილეში, ქრისტიანული უწყება სტიმულს ანიჭებს და ნათელს ჰფენს, – ზოგჯერ გაუთვალისწინებელი ფორმით, – ფილოსოფიას, ხელოვნებას,... თანამედროვე ცხოვრებას.

აი, რა წავიკითხე ერთ გაზეთში: „იქაურობა ხალხით იყო სავსე, როდესაც დილით ერთი, ოთხმოცი წლის თავაზიანი მოხუცი მოვიდა თითიდან ნაკერების ამოსაღებად. თქვა, რომ ძალიან ეჩქარებოდა, რადგანაც შეხვედრა ჰქონდა 9. 00 სთ-ზე:... ნერვიულად დაჰყურებდა საათს...და რაკიღა სხვა პაციენტებით არ ვიყავი დაკავებული, გადავწყვიტე, მის ჭრილობაზე მეზრუნა.... ნაკერების ამოღებისას, ვკითხე, სხვა ექიმთან ხომ არ ჰქონდა კიდევ შეხვედრა, რადგანაც ასე ძალიან ჩქარობდა. მოხუცმა ბატონმა მომიგო, რომ ცოლთან ერთად უნდა წასულიყო საათნოების სახლში სადილზე. მე ჯანმრთელობის შესახებ გამოვკითხე; მან მიამბო, რომ დიდი ხანია, რაც ალცჰაიმერის სინდრომი აწუხებდა. მივუგე, რომ მის ცოლს ადრე უნდა ეზრუნა მასზე. მან მიპასუხა, რომ უკვე 5 წელი იყო, რაც მეუღლე მას ვეღარ ცნობდა. გაოცებულმა ვკითხე: „და თქვენ ყოველ დილით მაინც მიდიხართ მის სანახავად?“ მამაკაცმა გაიცინა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „მან არ იცის, ვინ ვარ, მაგრამ მე მშვენივრად ვიცი, ვინ არის იგი“. ცრემლები ძლივს შევიკავე, გავიფიქრე: „აი, ასეთ სიყვარულს ვინატრებდი ცხოვრებაში“. ნამდვილი სიყვარული არც ფიზიკურია და არც რომანტიკული. ნამდვილი სიყვარული ყოველივე იმის მიღებაა, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება, ან არ იქნება. ყველაზე ბედნიერი ადამიანები მაინცდამაინც ისინი კი არ არიან, რომლებსაც ყველაფერი საუკეთესო აქვთ ცხოვრებაში, არამედ ისინი, რომლებიც საუკეთესოს იღებენ იქიდან, რაც გააჩნიათ“.

მოდით, ამ დიდ პარასკევს, განჭვრიტოთ ჯვარცმულის სახე, რომელზედაც იგივე სასოწარკვეთა და ეჭვებია ასახული, რაც ადამიანს აწუხებს; სახე, რომელიც დაღარულია სისხლის წვეთებით, რომელზედაც წაშლილია ყოველი ადამიანური ნაკვთი, განჭვრიტოთ და ვუსმინოთ სიტყვებს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ და აქვე, ესეც ვთქვათ: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიგატოვეთ?“

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ერთად ვიზეიმოთ აღდგომა

ამისკენ საგანგებო დოკუმენტით ქრისტიანებს გერმანიის კათოლიკე და მართლმადიდებელმა მღვდელმთავრებმა მოუწოდეს.

ეს გერმანიის კათოლიკე ეპისკოპატისა და მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კონფერენციის მეორე ერთობლივი დოკუმენტია. პირველ ერთობლივ დოკუმენტში აღდგომა განხილულია, როგორც ქრისტიანთა მთავარი დღესასწაული. მღვდელმთავართა აზრით, აღნიშნული დოკუმენტის ლოგიკური გაგრძელება ამ დღესასწაულის ერთობლივი აღნიშვნის მოწოდება უნდა იყოს.

დოკუმენტი უკვე გამოიცა ბროშურის სახით. გერმანიის კათოლიკე ეპისკოპატის ეკუმენური კომისიის ხელმძღვანელი, ეპისკოპოსი გერჰარდ მიულერი იმედოვნებს, რომ ეს ბროშურა ხელს შეუწყობს სეკულარიზებულ სამყაროში რწმენის ერთობლივ გავრცელებას.

მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაურმა, მიტროპოლიტმა ავგუსტინემ (კონსტანტინოპოლის საპატრიარქო) აღნიშნა, რომ აღდგომის დღესასწაულის საერთო თარიღი ქრისტიანთა ერთობის თვალსაჩინო ნიშანი იქნებოდა და გამოთქვა იმედი, რომ თანხმობა ამ საკითხში უახლოეს დროში იქნება მიღწეული.

New York Times

„დროა, დატოვო რომის კათოლიკე ეკლესია. რატომ ემხრობი ეკლესიას, რომელსაც ჯვაროსნული ლაშქრობა გაუმართავს კონტრაცეფციის, აბორტებისა და სტერილიზაციის წინააღმდეგ? რას ირჩევ: ქალთა უფლებებს თუ ეპისკოპოსებს და მათ უსამართლობას? შენ უკეთესი ხარ, ვიდრე შენი ეკლესიაა. მაშ, რატომ რჩები მასში?“ – ნათქვამია ფონდის „თავისუფლება რელიგიისაგან“ (Freedom From Religion Foundation) „ღია წერილში ლიბერალ და ნომინალურ კათოლიკეთა მიმართ“, რომელიც 9 მარტს New York Times-მა გამოაქვეყნა.

როგორც აღნიშნა რელიგიურ და სამოქალაქო უფლებათა კათოლიკური ლიგის (Catholic League for Religious and Civil Rights) პრეზიდენტმა უილიამ დონაჰიუმ, მოწოდების პუბლიკაცია გაზეთის კერძო საქმეა. თუმცა, როდესაც ორგანიზაციის „Stop Islamization Of America“ აღმასრულებელმა დირექტორმა, პამელა გელერმა მუსლიმანთა მიმართ მსგავსი მოწოდების პუბლიკაციისათვის გაზეთს იგივე 39 000 დოლარი შესთავაზა, უარი მიიღო. გელერმა აღნიშნა, რომ მისი მოწოდება შედგენილი იყო, როგორც ხსენებული ანტიკათოლიკური მოწოდების მიბაძვა: „რატომ რჩები ინსტიტუციაში, რომელიც ადამიანებად არ თვლის ქალებსა და არამუსლიმანებს? რატომ ემხრობი იდეოლოგიას, რომელიც უარყოფს ქალთა თავისუფლებას?“

როდესაც გელერმა უარის განმარტება მოითხოვა, პასუხად გაზეთის პრეს-მდივნის წერილი მიიღო: „ჩვენ არ გვითქვამს უარი თქვენი წერილის გამოქვეყნებაზე, არამედ, ავღანეთის მოვლენათა გათვალისწინებით, პუბლიკაციის გადავადების გადაწყვეტილება მივიღეთ“.

„გამოდის, რომ შეგიძლია დაუსჯელად ლანძღო ზოგი რელიგია, მაგალითად კათოლიციზმი, ისლამი კი – არა“, – აღნიშნა FoxNews.com-ის კორესპონდენტთან საუბრისას უილან დონაჰიუმ.

გარდაიცვალა კოპტთა პატრიარქი

„იგი 40 წელი მეთაურობდა ეკლესიას და დიდი კვალი დატოვა. როდესაც მან ტახტი დაიმკვიდრა, კოპტთა ეკლესია გაცილებით უფრო სუსტი იყო. თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით იგი სტიმულს აძლევდა რელიგიურობის განვითარებას. შენუდა III-ის პატრიარქობის წლებში მრავალი ეპარქია და სამრევლო დაარსდა ეგვიპტის საზღვრებს გარეთ. ყველას უყვარდა, ქრისტიანებსაც და მუსლიმანებსაც. განსაკუთრებით კი მის სამწყსოს – კოპტებს“, – აღნიშნა ვატიკანის რადიოს კორესპონდენტთან საუბრისას ეპისკოპოსმა ბუტროს ფაჰიმმა.

შენუდა III 17 მარტს, ქაიროში გარდაიცვალა. თავის სამძიმარში უწმიდესი პაპი მადლიერებით იხსენებს გარდაცვლილი პატრიარქის ღვაწლს ქრისტიანთა ერთობის მიღწევის გზაზე.

„კათოლიკე ეკლესია გლოვობს და ლოცულობს კოპტ ქრისტიანებთან ერთად. ყოველი ჩვენგანისათვის დაუვიწყარია პატრიარქ შენუდა III-ისა და პაპ იოანე პავლე II-ის შეხვედრა ქაიროში. ეს ძმური დიალოგის უდიდესი გამოხატულება იყო. დაე, მიიღოს უფალმა ეს დიდი მწყემსი“, – აღნიშნა საგანგებო განცხადებაში წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის მდივანმა ფედერიკო ლომბარდიმ.

2011 წლის მოწამეები

გერმანიის გამომცემლობაში Idea დაიბეჭდა წიგნი „ქრისტიანი მოწამეები – 2011“, რომელიც მოგვითხრობს იმ ქრისტიანთა შესახებ, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გასულ წელს დევნისა და ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ.

„დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იდევნება და იღუპება მრავალი ქრისტიანი. ამიტომ ძალზე აქტუალურია ამგვარი ყოველწლიური გამოცემის არსებობა“, – ნათქვამია გამომცემლობის საიტზე.

ლოცვა მაფიის მსხვერპლთათვის

16 მარტს გენიუს საკათედრო ტაძარში გაიმართა ლოცვა მაფიის მსხვერპლთათვის.

ლოცვის შემდეგ, გენუას მთავარეპისკოპოსმა ანჯელო ბანიასკომ აღნიშნა, რომ დანაშაულთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება შვილების სწორი აღზრდაა: უნდა ვასწავლოთ მათ ჭეშმარიტების, სიკეთის, სამართლიანობის სიყვარული და კანონის პატივისცემა.

ქრისტიანული ჯგუფის პირველი ვიდეოკლიპი YouTube-ზე

„ასე შეგვიძლია, ათასობით ახალგაზრდას მივაწვდინოთ ჩვენი ხმა, ვესაუბროთ მათ ღმერთზე“. ახალგაზრდა იტალიელი მწერლისა და რეჟისორის, მანუელ დე ტეფეს იდეა კათოლიკური საინფორმაციო ქსელის Catholic Radio and Television Network და კათოლიკურ საქველმოქმედო ორგანიზაციის Kirche in Not ხელშეწყობით განხორციელდა. 7 მარტს YouTube-ზე გამოჩნდა ჯგუფის Music Visions პირველი კლიპი „Beside You“, რომელიც დედობის სიხარულს ეძღვნება.

„ჩვენ ძალიან გვსურდა ამ ტერიტორიაზე შესვლა, რადგან ინფორმაციის მიწოდების ეს ფორმა – ვიდეოკლიპი – განსაკუთრებით პოპულარულია ინტერნეტში. სამწუხარო ის არის, რომ ვიდეოკლიპის კულტურა ნაკლებად ეხება ადამიანის ღირსების პატივისცემას. მილიონობით ახალგაზრდა ყოველდღე უყურებს კლიპებს, რომლებიც ხშირად ცხოვრების დესტრუქციული სტილის პროპაგანდას გადმოგვცემს. ეს კლიპი ჩვენი ორგანიზაციის Music Vision პოზიტიური გზავნილია“, – აღნიშნა კლიპის ავტორმა მანუელ დე ტეფემ.

დავუბრუნდეთ ბიბლიას



ცნობილი ბრიტანელი მსახიობი დევიდ სუშე მოუწოდებს ქრისტიანებს, ხშირად იკითხონ ბიბლია.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ ბიბლია ყველაზე გაყიდვადი წიგნია, მაგრამ, სამწუხაროდ, არასათანადოდ შეფასებული. იგი იმ წიგნთა სიაში შედის, რომელთაც იშვიათად კითხულობენ თავიდან ბოლომდე“.

კომპოზიტორთა კონკურსი

კულტურის პონტიფიკალური საბჭო კომპოზიტორთა საერთაშორისო კონკურსს აცხადებს. „კონკურსის მიზანი მუსიკალური ლიტურგიული მემკვიდრეობის ვაზზე ახალი ყლორტის აღმოცენებაა“, – აცხადებს კარდინალი ჯანფრანკო რავაზი. კონკურსი უმბრიის მუსიკალური ფესტივალისა და პერუჯის კლასიკური მუსიკის ფონდის ხელშეწყობით იმართება.

ამა წლის 20 ივლისამდე ნებისმიერი ასაკის კომპოზიტორებს შეუძლიათ წარადგინონ ერთი ნაწარმოები ქოროსათვის, მოციქულთა რწმენის სიმბოლოს სიტყვებზე, უნდა სრულდებოდეს ორღანის თანხლებით და ხანგრძლივობით 15 წუთს არ აღემატებოდეს.

„ერთი მხრივ, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ძველი ტრადიცია; მეორე მხრივ კი ხელი უნდა შევუწყოთ სასულიერო მუსიკის განვითარებას“, – აღნიშნა კარდინალმა ჯანფრანკო რავაზიმ.

კონკურსის სამი ფინალისტი 14 სექტემბერს პერუჯის წმიდა პეტრეს ბაზილიკაში დაჯილდოვდება.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

გთხოვთ, მიმიღოთ მამური სიყვარულით

საქართველოში წმიდა საყდრის დესპანის, მთავრეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის წაბრძანების შემდეგ, საქართველოს კათოლიკეები მოუთმენლად ელოდნენ ახლად დანიშნული ელჩის, მთავარეპისკოპოს მარეკ სოლჩინსკის საქართველოში ჩამობრძანებას. და აი, 2012 წლის 1 მარტს ეს დღეც დადგა. მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში მის ყოვლადმაღალუსამღვდელოესობას შეეგებნენ საქართველოში მოღვაწე მღვდელმსახურები, სხვადასხვა ორდენის სასულიერო პირები და მრევლის წევრები.

წირვის დაწყებამდე, მთავარეპისკოპოსს მიესალმა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო: „თქვენო ყოვლადმაღალუსამღვდელოესობავ, მოგესალმებით ყველა მღვდლისა და ყველა მორწმუნის სახელით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება; ჩვენ, ყველანი ჭეშმარიტად კმაყოფილნი ვართ თქვენი მობრძანებით, გვინდა მიგიღოთ, როგორც პაპის დესპანი...

ჩვენი ეკლესია მცირე ეკლესიაა, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე და სურვილი აქვს მისი გაგრძელებისა.

მე, როგორც ამ ეკლესიის მწყემსმა, მინდა გითხრათ, რომ ეს არის დიდი ეკლესია, რადგანაც იცის, როგორ დაამოწმოს რწმენა და ენთუზიაზმით სავსე მიიწევს წინ... მოხარულნი ვართ, რომ გზას, რომელიც განვვლეთ, ახლა თქვენთან ერთად განვაგრძობთ.

კიდევ ერთხელ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ქვემოთ გთავაზობთ მთავარეპისკოპოსის ქადაგებას.

„ისევე მოექეცით ადამიანებს, როგორც გსურთ, რომ თქვენ მოგექცნენ“

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ,
ძვირფასო მონსინიორ ჯუზეპე,
თანამოძმე მღვდლებო და ბერებო,
ძვირფასო მონაზვნებო,
ძვირფასო ძმანო და დანო,
მშვიდობა თქვენდა!

აი, მე, წმიდა საყდრის ახალი დესპანი საქართველოში, რომელსაც ამდენი ხანი ელოდით, თქვენს წინაშე ვარ. როგორც იცით, წმიდა მამამ, ბენედიქტე XVI-მ მთავარეპისკოპოსად მაკურთხა ვატიკანის წმიდა პეტრეს ბაზილიკაში, ღვთის გაცხადების დღესასწაულზე, ამა წლის 6 იანვარს, ანუ სულ ორიოდე თვის წინ. ვიცი, რომ იმ დღეს, ისევე როგორც წმიდა საყდრის სადესპანოში ჩემი არყოფნის მთელ პერიოდში, მუდამ ლოცულობდით ჩემთვის. მადლობას მოგახსენებთ ამ ლოცვითი ერთობისთვის, რომელიც დამყარდა ჩვენს შორის გასული წლის 26 ნოემბრიდან, ანუ იმ დღიდან, როცა გამოქვეყნდა ცნობა დესპანად ჩემი დანიშვნის შესახებ.

დღეს, ამ საზეიმო ევქარისტული ღვთისმსახურებით ვიწყებ ჩემს მისიას. კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორს გადავცემ სარეკომენდაციო წერილს, რომლითაც სახელმწიფო მდივანი, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე, წმიდა მამის სახელით სთხოვს მას, მიმიღონ. ჩემი მხრივ, გარწმუნებთ, რომ ძალას არ დავზოგავ, რათა აღვასრულო წმიდა მამის მიერ ჩემზე დაკისრებული მოვალეობა, ვემსახურო ქრისტეს ეკლესიას, რომელიც თქვენს ქვეყანაში უკვე 17 საუკუნეს ითვლის.

დღევანდელი სიტყვის ლიტურგია ძირითადად თხოვნის ლოცვას ეხება: *„ითხოვდეთ და მოგეცემათ; ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ; დააკაკუნეთ და გაგიღებენ“.* იესოს სურს, რომ ვთხოვოთ მას ჩვენთვის და სხვებისთვის სასიკეთო რამ და გვპირდება, რომ ყველა თხოვნას შეისმენს: *„მთხოვნელს მიეცემა, მძებნელი ჰპოვებს, დამკაკუნებელს კარი გაეღება“...*

ახლა კი ვნახოთ, რა გაკვეთილს გვაძლევს ღმერთის დღევანდელი სიტყვა ჩვენი სულიერი წინსვლისთვის.

პირველი გაკვეთილი მარტივია: თუ მიღება გსურს, უნდა ითხოვო კიდეც. ღმერთისადმი აღვლენილი ყოველი ვედრება სწორედ იმდენადაა ფასეული, რამდენადაც შეგნებული გვაქვს ჩვენი თხოვნის აუცილებლობა და რამდენადაც გვწამს იმისა, ვისაც ვევედრებით...

მეორე გაკვეთილი ისაა, რომ ზოგჯერ მთხოვნელი ვერ ისრულებს საწადელს, რადგან უსარგებლო რამეს ითხოვს (მაგალითად, ქვებს), ან სახიფათოს (მაგალითად, გველებს). ღმერთს კი ყველასთვის მხოლოდ სიკეთე სურს. ეს განაცხადიც კი საკმარისია იმის წარმოსაჩენად, თუ თხოვნის მომენტში რაოდენ მნიშვნელოვანია გვწამდეს და ბოლომდე მივენდოთ ღმერთს. მხოლოდ ის, ვინც ბოლომდე ემორჩილება ღვთის ნებას, შეძლებს სასარგებლო თხოვნით მიმართოს უფალს და არასოდეს დარჩება გაწბილებული, თუ ვერ აუსრულდება უსარგებლო და მავნე სურვილები.

მესამე გაკვეთილად კი ის გამოგვადგება, რომ, როგორც შენიშნეთ, დღევანდელ საკითხავში აქცენტი გაკეთებული იყო არა დაჟინებულ თხოვნაზე, არამედ ზეციური მამის სიკეთესა და გულისხმიერებაზე. აი, ესაა ჩვენთვის ფასეული: ზეციერი მამის სიკეთემ შვილებსაც უნდა შთააგონოს, რომ იყვნენ მასავით კეთილნი და, განურჩევლად, ყველას მიმართ ჰქმნან სიკეთე. ასეთი დამოკიდებულება აგვარიდებს იმას, რომ არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ საკუთარი თავით, საკუთარი სატკივარითა თუ სურვილებით, გაგვიფართოებს თვალსაწიერს და გაჭირვებული მოყვასისადმიც მიგვაპყრობინებს გონებას.

დაბოლოს, მეოთხე და ბოლო გაკვეთილი, ჩვენს თემასთან დაკავშირებით, მაინც გახლავთ ის „ოქროს წესი“, რომელიც დღევანდელ სახარებისეულ საკითხავს აგვირგვინებს: *„ისევე მოექეცით ადამიანებს, როგორც გსურთ, რომ თქვენ მოგექცნენ“*. ეს წესიც თხოვნისა თუ მეოხების ლოცვას უნდა მივუსადაგოთ. მართლაც, როგორ გვეადვილება ხოლმე ჩვენს სასიკეთოდ ვედრება და რაოდენ დიდია ცდუნება იმისა, რომ სხვების საზიანოდ შევთხოვოთ ღმერთს, განსაკუთრებით კი ნამდვილი თუ წარმოსახვითი მტრების საზიანოდ, ან მათ წინაღმდეგ, ვინც თვალში არ მოგვდის, ან ცუდად მოგვექცა, უპატივცემულოდ მოგვეპყრო, ხელი არ გაგვიმართა და ა.შ. მართალია, ზემოხსენებული „ოქროს წესი“ „ქმნას“, ანუ ჩვენს ირგვლივ მყოფი პირების მიმართ გარკვეულ ქმედებას გულისხმობს, მაგრამ იგი არც ყოველი ქრისტიანული ქმედების საფუძველს – ლოცვას უარყოფს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც მტრებისთვის ლოცულობს, ის მათთვის მიტევებასაც შეძლებს და შერიგების ხელსაც გაუწვდის. ამის საუკეთესო მაგალითი ხომ თავად უფალმა მოგვცა, როცა ჯვარზე გაკრულმაც კი შესთხოვა მამას: „შეუნდე, რამეთუ არა უწყიან, რას იქმან!“.

ძვირფასო ძმანო და დანო, დიდმარხვა, რომელიც დავიწყეთ, ლოცვის დროა. მეტიც, ნაცრისყრის ოთხშაბათს ისიც კი ვთქვით, რომ ლოცვა ჭეშმარიტი სინანულის ერთ-ერთი აქტია. მაშ, ვეცადოთ აღვავლინოთ ყოველდღიური ლოცვა და იმასაც ჩავუკვირდეთ, ყოველდღიურ რუტინად ხომ არ გვექცა იგი, ხომ არ გაგვნელებია უფალთან ცოცხალი ურთიერთობის სურვილი? მაშ, მოვიმარჯვოთ ეს უმძლავრესი იარაღი – ლოცვა და შევთხოვოთ უფალს არა მხოლოდ ჩვენი თავის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სხვათა, განსაკუთებით კი ჩვენზე უფრო გაჭირვებულთა სასიკეთოდ. მაშინ ჩვენი ლოცვა და ქმედებაც კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალებით აირეკლავს ღვთაებრივ სიკეთესა და სიყვარულს. ამინ!

წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ეკლესია
თბილისი, 1 მარტი, 2012 წ.
დიდმარხვის I კვირის ხუთშაბათი

„არლობა“ – სოფლის დღესასწაული

გაზაფხულდა! როგორც იქნა, ჩვენს სოფელში მოვიდა დიდი ხნის ნანატრი გაზაფხული! დადგა 19 მარტი, დღე – ნამდვილი საჩუქარი უფლისა. შეგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, რომ 19 მარტს არის წმიდა იოსების, მარიამის დამწინდველის დიდდღესასწაული, დღესასწაული ჩვენი ახლად რესტავრირებული ლამაზი ეკლესიისა. რამდენი ფინანსები და ძალისხმევა დასჭირდა იმას, რომ უფრო მეტად გალამაზებულიყო ეს პატარა ეკლესია სოფელ არალში.

აქვე, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს ეპისკოპოსს, იოსებ (ჯუზეპე) პაზოტოს, ლიტურგიულ კომისიას, მამა გაბრიელე ბრაგანტინის მეთაურობით და სახელმწიფოს, კერძოდ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ნებართვისათვის. ასევე, დიდი მადლობა ყველა არლელს, ვინც კი ეკლესიის რესტავრაციაში თავისი წვლილი შეიტანა ფიზიკურად და შემოწირულობით. ამიტომაც, 2012 წლის 19 მარტს, განახლებული ეკლესია, სადაც აღვნიშნავდით წმიდა იოსების დიდდღესასწაულს, რომლის მოსახელეც არის ჩვენი ეპიკოპოსი, ბრწყინავდა სილამაზით.

ამ შესანიშნავ დღეს, ჩვენი კათოლიკური სამრევლოებიდან (და არა მარტო მათგან) ძალიან ბევრი სტუმარი მოვიდა. მრევლისა და სტუმრების რაოდენობა ექვსას ადამიანს აღემატებოდა და ჩვენმა პატარა ეკლესიამ ვერ დაიტია ყველა. წირვაში ბევრი მღვდელმსახური და ბერ-მონაზონი მონაწილეობოდა.

წირვის ყველაზე მთავარი მომენტი გახლდათ მირონცხების საიდუმლო, რომელიც თვით ჩვენმა ეპისკოპოსმა აღასრულა. მირონცხებულთა რიცხვი ორმოცდაათ ადამიანს აღემატებოდა. მათი სურვილი, განმტკიცებულიყვნენ კათოლიკე ეკლესიის წიაღში, იმდენად დიდი იყო, რომ ყველას ერთიანად უბრწყინავდა სახე, როგორც ბრწყინავდა განახლებული ეკლესია. აღსანიშნავია ისიც, რომ 18 მარტს პირველი ზიარება საკმაოდ ბევრმა ადამიანმა მიიღო.

ეპისკოპოსმა თავის ქადაგებაში აღნიშნა, რომ იმისათვის რომ ჩვენ, წმიდა იოსების მაგალითისამებრ, ვიქცეთ ერთ ლამაზ ოჯახად, საჭიროა სამი ძირითადი რამ: მუდამ განვახლდეთ, განვმტკიცდეთ და ვიხაროთ სული წმიდის შთაგონებით. ხოლო წირვის კულმინაცია იყო ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიღება ჩვენს გულებში პურისა და ღვინის სახით. ეპისკოპოსის კურთხევამდე, არლის მოძღვარმა, მამა იეჟი შიმეროვსკიმ მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს მობრძანებისთვის და მადლი შესწირა ღმერთს მისი გულმოწყალებით ჩვენი ლამაზი სამრევლოს ზრდისა და განვითარებისათვის.

წმიდა წირვის შემდეგ, გაიმართა მცირე ღონისძიება, სადაც წარმოჩინდა ჩვენი პატარა კუთხე – მესხეთი. დასაწყისში ნაციონალურ სამოსელში გამოწყობილმა გოგონამ

18 მარტი, პირველი ზიარება

და ბიჭმა ეპისკოპოსს გადასცეს XII საუკუნის გენიალური პოეტის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რის შემდეგაც შესრულდა მესხური „მრავალჟამიერი“; ახალგაზრდებმა რიტუალების სახლამდე გზად მიმავალ სტუმრებს წარმოუდგინეს ქართული ჭიდაობა და ცეკვა, ხოლო შენობის შესასვლელთან წაიკითხეს ლოცვა ლექსის სახით, რის შემდეგაც ეპისკოპოსმა აკურთხა სუფრა. დიდი მადლობა თამადას ლამაზი სადღეგრძელოებისათვის.

არლის ეკლესიის მოძღვრის – მამა იეჟი შიმეროვსკისა და ჩემი სახელით, ყველას მადლობას მოგახსენებთ ამ დიდი დღესასწაულის ლამაზად მომზადებისა და წარმოჩენისათვის.

პირადად მე, მსურს, გაგიზიაროთ ჩემი ოცნება, რომ 19 მარტი სამომავლოდ გახდეს მთელი სოფლის დღესასწაული – „არლობა“, რათა მასში მონაწილეობა მიიღოს სოფლის ყველა მცხოვრებმა, განურჩევლად აღმსარებლობისა. და ასევე, ეს დღესასწაული, როგორც წმინდა იოსების დღე, იქცეს მამაკაცების დღედ.

დაე, ღმერთმა დალოცოს ყველა თვენგანი.

მამა მიშა სურმავა

უ ღ ე

უდის საგანმანათლებლო ცენტრ „იმედი“-ს ახალგაზრდები ბაკურიანში

ერთი წელი შესრულდა, რაც სოფ. უდეში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრი „იმედი“, სადაც ახალგაზრდები იძენენ და იღრმავებენ ცოდნას. პედაგოგები, ბავშვები და მათი მშობლები უღრმეს მადლობას მოვახსენებთ მამა იეჟი შიმეროვსკისა და მამა მიშა სურმავას ასეთი კეთილი საქმისათვის და ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, რათა მუდამ აკეთონ კეთილი საქმეები.

შევიტყვეთ, რომ მამა მიშა აპირებდა ჩვენს წაყვანას ბაკურიანში, სადაც პირველად მივდიოდით და ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ რა არაჩვეულებრივი სილამაზის მოწმენი გავხდებოდით.

3 მარტს, დილის რვა საათზე, უკლებლივ ყველა შევიკრიბეთ და დილა დაიწყო დედის დღის მილოცვით. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრ „იმედში“ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები სწავლობენ, კერძოდ კი კათოლიკეები და მართლმადიდებლები. სანამ გავემგზავრებოდით, ყველამ ერთად წარმოვთქვით „მამაო ჩვენო“, ლოცვა, რომელიც თვით იესო ქრისტემ ასწავლა მოციქულებს და რომელსაც თითოეული ჩვენგანი წარმოთქვამს ყოველდღე.

როდესაც ბაკურიანისკენ მიმავალ გზაზე გადავუხვიეთ, განწყობა აშკარად შეგვეცვალა; ირგვლივ დიდი თოვლი იდო; რაც ზემოთ მივიწევდით, მით უფრო თვალწარმტაცი და ულამაზესი ბუნება იშლებოდა ჩვენს თვალწინ.

„მე სოფლიდან ვარ, ზაფხულობით მთაში დავდივარ და მინახავს, რა ლამაზია ბუნება ამ დროს, მაგრამ ზამთარში ასეთი სილამაზის მომსწრე თუ ვიქნებოდი, ვერასოდეს ვიფიქრებდი“, – ***ელენე ბალახაშვილი.***

„ვერასოდეს დავივიწყებ იქ განცდილ სიხარულსა და სიამოვნებას. ცხოვრებაში, ალბათ, ბევრ სხვადასხვა ღირსშესანიშნაობას ვნახავ, თუმცა ბაკურიანი არასოდეს დამავიწყდება, რისთვისაც მადლობა მამა მიშას. ისეთი ექსტრემალური სიამოვნება, რაც იქ განვიცადე, არასოდეს მიგრძვნია“, – ***ხატია ყულიჯანიშვილი.***

„არ ვიცი, როგორ ავხსნა ის სიხარული და სიამოვნება, რომელიც განვიცადე ბურანზე და კვადროციკლზე სეირნობისას. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ეს ლამაზი დღე გვაჩუქა“, – ***ნინო აფრიამაშვილი.***

„მეგობრებისგან ვიცოდი, თუ რა გველოდა იქ. მაგრამ ის, რაც ვნახე და რა სიხარულიც განვიცადე, ვერ გადმოვცემ. ვისეირნე ბურანით და კვადროციკლით, მაგრამ ტირი, სადაც ვითამაშე და სროლისას არც ერთხელ არ ამიცდენია, ჩემთვის ყველაფერი იყო, ანუ მე აღმოვაჩინე, რომ შემეძლო მიზანში სროლა. ეს ჩემს ცხოვრებაში ჩემი თავის აღმოჩენა იყო ალბათ. გმადლობთ, მამა მიშა, ამ ლამაზი დღისათვის, მადლობა მთელ კოლექტივს, ვინც პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე და წაგვიყვანა“, – **ზაური ჭაღიაშვილი**.

„ძალიან ციოდა, შეიძლება ითქვას, რომ გავიყინე, მაგრამ ამად ღირდა. ისეთი სიხარული, რაც განვიცადე, მავიწყებდა სიცივის შეგრძნებას“, – ***მერი თათოშვილი.***

„სოფელში დიდი თოვლი მოდის და ციგით ვსრიალებთ ხოლმე, მაგრამ ბაკურიანში, როდესაც ციგით ვსრიალებდით, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით; რაც მთავარია, მასწავლებლებიც ჩვენთან ერთად სრიალებდნენ და გვეჯიბრებოდნენ. ძალიან მიხარია“, – ***ნინო ბოჩიკაშვილი.***

„ცხენით გავისეირნე და ჯირითით მოხიბლული დავრჩი, ისევე როგორც ბურანზე და კვადროციკლზე სეირნობით“, – ***ციური პარუნაშვილი.***

„მხიარულებასა და ექსტრემალურ სიტუაციაში დრო ისე მალე გავიდა, არავის გახსენებია სადილობა. ჩვენი მძღოლების დახმარებით, გავშალეთ სუფრა და მოკრძალებულად ვისადილეთ“, – ***ნინო ბალახაშვილი.***

„ისე სავსე ვიყავი ემოციებისგან, რომ ამოვარდნილი ქარბუქის სუსხსაც კი ვერ ვგრძნობდი. ეს ადგილი ნამდვილად არ მემეტებოდა დასატოვებლად“, – ***ნათია მერაბიშვილი.***

„ყველანი დიდი ემოციებით ვტოვებდით თვალწარმტაც ბუნებას და იმ იმედით, რომ კიდევ შევძლებდით ამ სილამაზესთან ზიარებას“, – ***ეკა ყულჯანიშვილი.***

დიდი მადლობა, მამა მიშა, ასეთი ლამაზი დღისათვის, მადლობა ჩვენს პედაგოგებს ჩვენს გვერდით ყოფნისთვის. იმედს ვიტოვებთ, რომ, ალბათ, ასეთ ლამაზ დღეს კიდევ გვაჩუქებენ კეთილი ადამიანები.

სოფ. უდის ახალგაზრდული ცენტრი „იმედი“

ხიზაბავრი

დედის დღე ხიზაბავრის წმ. კამილოს სახელობის საბავშვო ბაღში

საქართველოში 3 მარტს დედის დღეს აღნიშნავენ. სწორედ ამ დღეს, ჩვენს სოფელში არსებულმა წმ. კამილოს სახელობის ბაღის აღსაზრდელებმა პატარა ზეიმი გაუმართეს თავიანთ დედებს. დედებმაც სიხარულით მიიღეს მონაწილეობა საზეიმოდ გამართულ სპორტულ, მუსიკალურ და მხიარულ შეჯიბრებებში.

საზეიმოდ გამოწყობილი ბავშვები სიხარულით ანთებული თვალებით ულოცავდნენ დედებს ამ ლამაზ დღეს და ლექსებსა და სიმღერებს უძღვნიდნენ მათ.

ზეიმის დასასრულს, მშობლებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს ბაღის მასწავლებლებს მათ შვილებზე გაწეული ამაგისთვის და ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს; ასევე, დიდი მადლობა უძღვნეს წმ. კამილოს ორდენის მოძღვარს, მამა პავლე დილის, რომლის ძალისხმევითაც დაარსდა სოფლის საბავშვო ბაღი, რომელიც ათ წელზე მეტია, მოქმედებს და მრავალი სკოლამდელი თაობა გამოზარდა. მამა პავლე ამჟამადაც მზრუნველობას არ აკლებს ბაღს, ეხმარება ფინანსურად და მორალურად, რათა ხიზაბავრელთა შვილებს უზრუნველი და ლამაზი ბავშვობა ჰქონდეთ.

მადლობა ღმერთს, რომ ასეთი კეთილი ადამიანი მოუვლინა ჩვენს სოფელს და ბავშვებს მომავალი გაულამაზა.

სარვამარტო ზეიმი ხიზაბავრაში

მკაცრი ზამთრის მიუხედავად, 8 მარტს გაზაფხულის სურნელი მაინც იგრძნობოდა და მზე თავისი მცხუნვარე სხივებით მანდილოსნებს ამ დღეს ულოცავდა.

ხიზაბავრის საბავშვო ბაღთან არსებულმა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა თავისი შემოქმედებით – ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით – მშვენიერი საჩუქარი უძღვნა სოფლის მოსახლეობას, კერძოდ, ქალებს.

ხალხმა მადლობა გადაუხადა ზეიმის ორგანიზატორებს: გურამ ინასარიძეს და ნანა და ჯემალ დათაშვილებს ამ ლამაზი საჩუქრისათვის. მშობლებმა სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს მამა პავლესადმი, რომელიც დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენს მათი შვილების მიმართ.

ფიქრია მექოშვილი

მოხალისეობა – გასცე უანგაროდ

საღამოს საათებში, დინამოს სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხვედრილი ადამიანის ყურადღებას მიიპყრობს პლაკატი, რომელზედაც დიდი ასოებითაა დაწერილი – „ცხელი წვნიანი უსახლკაროთათვის“, და იქვე მდგარი რამდენიმე ახალგაზრდა, მწვანე უნიფორმაზე წარწერით – „მოხალისე“. გამვლელები გაოცებული სახით აკვირდებიან მათ საქმიანობას: ზოგი მათ ვინაობას კითხულობს, ზოგი კი შორიდან დანახულით კმაყოფილდება და ისევ აგრძელებს გზას. ეს ახალგაზრდები მოხალისეთა ჯგუფის წევრები არიან, ჯგუფისა, რომელიც, აგერ უკვე სამი თვეა, აქტიურად ღებულობს მონაწილეობას საქველმოქმედო აქციაში – „ცხელი სუპი (წვნიანი) უსახლკაროთათვის“, რაც ძირითადად გულისხმობს ქუჩაში დარჩენილი, მიუსაფარი ადამიანებისათვის ცხელი წვნიანის დარიგებას.

ეს იდეა დაიბადა 2011 წლის სექტემბერში, წეროვანში გამართულ მოხალისეთა ფორუმზე. მისი განხორციელებისათვის ფინანსები მოიძია მამა იეჟი პილუსმა, „საქართველოს კარიტასის“ სოციალურ–პასტორალური დეპარტამენტის უფროსმა. პროექტის განხორციელება დაიწყო თებერვლის შუა რიცხვებიდან, სწორედ იმ დროიდან, როდესაც თბილისში ყველაზე დაბალი ტემპერატურა ფიქსირდებოდა.

აქცია ტარდება კვირაში ორჯერ (ყველაზე ცივ დღეებში თითქმის ყოველდღე). ოთხი-ხუთი მოხალისე, ღიმილიანი სახით, ზოგჯერ სიცივისაგან აკანკალებული ხელით აწვდის მათთან მისულ ადამიანს ცხელ წვნიანს და კარგ მადას უსურვებს.

მოხალისეობა – ესაა საქმიანობა, რომელიც მომწონს; სასიამოვნოა, როდესაც შეგიძლია გასცე, მიუხედავად იმისა რომ მატერიალურად საკუთრივ შენი შეიძლება არაფერი გქონდეს. ეს არის კარგი საშუალება საკუთარი თავის უკეთ შეცნობისა. მოხალისეობის დროს არაფერს ღებულობ, პირიქით, გასცემ, მით უმეტეს, რომ დღესდღეობით ყველა იმითაა დაინტერესებული, თუ რა შეიძინოს. გაცემა შენ თავად განიჭებს სიხარულს. მახსოვს, ერთმა კაცმა გვითხრა: „თქვენ რომ მოდიხართ, ჩვენთვის მზე ამობრწყინდება ხოლმეო“. სასიამოვნოა, როდესაც შეგიძლია, ცოტათი მაინც შეუმსუბუქო სხვას გაუსაძლისი ყოფა, – გვიზიარებენ მოხალისეობის შთაბეჭდილებებს სოფო გოზალიშვილი და მარი ნებიერიძე.

პროექტში მონაწილე მოხალისეებს, გარდა იმისა რომ კონკრეტულ ადგილზე მისულ ადამიანებს საჭმელს ურიგებენ, ცხელი კერძი მიაქვთ მათთვისაც, ვისაც გადაადგილება არ შეუძლია, ასევე მიყავთ ისინი წმ. კამილოს კლინიკაში, ბანენ და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობენ კიდეც.

„მოხალისეობა ღმერთთან გაახლოებს. როდესაც სხვას ეხმარები, პირველ რიგში, სულიერად იზრდები და საშუალება გეძლევა, უფრო მეტად დაუახლოვდე უფალს“, – აღნიშნავს ზაქრო ზაქროშვილი, მოხალისე წმ. კამილოს კონგრეგაციიდან.

პროექტის განსახორციელებლად ადგილის შერჩევა მოხდა წინასწარი ორკვირიანი მონიტორინგის შედეგად. თავიდან ეს პროექტი გათვალისწინებული იყო ძირითადად უსახლკაროებისათვის, თუმცა თებერვლის იმ საშინელ სიცივეებში, გარემოვაჭრეთა ნაწილიც მოდიოდა.

პროექტის დაწყებას მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, თუ არ ჩავთვლით პირველი დღეების რამდენიმე ექსცესს, დადებითად შეხვდა. გიორგი გაბუნია, გარემოვაჭრე: ეს არის უდიდესი სიკეთის გამოვლინება უქონელი ადამიანის მიმართ, არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ აკეთებს ამას, თვით იესო ამბობს: გაეცი და ნურაფერს ითხოვ, დაე, „შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა“ (მათე, 6,3). განა შეიძლება, რომ შვილმა მამას პური სთხოვოს და მამამ მას ქვა მიაწოდოს?!

აქცია გაგრძელდება აპრილის ბოლომდე, მოხალისედ წასვლა და დახმარება შეუძლია ყველა მსურველს.

შორენა პარუნაშვილი

ნუგზარ პაპუაშვილი

აღდგომა და კალენდარი

იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის არსსა და შინაარსს ვერაფერი გამოხატავს ისე სრულყოფილად, ვიდრე ორი სიტყვა: **ქრისტე აღდგა!** ვერც ერთი ტრაქტატი და შეგონება ვერ გადაწონის იმ საგალობლის შინაგან მუხტსა და აზრის სიმაღლეს, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიებში წარმოითქმის და რომელშიც კაცთა მოდგმის იმედი და სიხარული მოისმის:

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი,
და საფლავების შინათა
ცხოვრების მიმნიჭებელი“.

აკი თვითონ თქვა იესო ქისტემ: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“ (იოანე 11:25). ეკლესიის ბურჯები და მასწავლებლები ადასტურებენ, რომ ჯვარცმისა და აღდგომის გარეშე კაცთა მოდგმის გამოსყიდვა და ხსნა ვერ განხორციელდებოდა; ძველი და ახალი საღვთო ისტორია: ეგვიპტიდან გამოსვლა და რჩეული ერის გათავისუფლება; შობა, ნათლისღება, ფერისცვალება და იერუსალიმში დიდებით შესვლა აზრს დაკარგავდა, ისინი რომ იმ ზეაღმავალი კიბის საფეხურები არ იყვნან, რომლის მწვერვალი არის სასწაულთა სასწაული – აღდგომა და ამაღლება. ცნობილია ათანასე ალექსანდრიელის (†373) სიტყვები: „თუ ღმერთი იშვა და მოკვდა, იმიტომ კი არ მომკვდარა, რომ იშვა, არამედ იშვა იმისათვის, რომ მომკვდარიყო“.

დაისმის კითხვა: რა როლი შეიძლება ეკისროს სიკვდილს სოტეროლოგიური (მაცხოვარებითი, გამმსყიდველობითი) მისიის აღსრულებასა და ტრიუმფში? გავითვალისწინოთ: ქრისტეს დამცირება, ჯვარცმა და სიკვდილი განა გამანადგურებელი დარტყმა არ უნდა ყოფილიყო მისი მოწაფეებისა და მიმდევრებისათვის? მოძღვარი ხომ მათ დიდებას და უკვდავებას ჰპირდებოდა და ვინ იფიქრებდა, რომ ის თვითონ მოკვდებოდა ტანჯვასა და უმწეობაში? ვის და რას შეეძლო გაეფანტა მათი ეჭვები და განეკურნა კაცებრივი უძლურებანი? პასუხი ერთადერთია და უდავო: სასწაულს და მხოლოდ სასწაულს! იოანე ოქროპირი (†405) ამბობს: „თუ არა სასწაული, ვერაფერი სხვა ძალა ვერ უბიძგებდა მათ, მოციქულებს, მოსალოდნელ სასტიკ ბრძოლაში ჩასაბმელად; რომ არ აღმდგარიყო ქრისტე, მოწაფეები მისი ერთგულნი ვერ დარჩებოდნენ“.

ჭეშმარიტება, რომელსაც აღდგომის სასწაული მოიცავს, წუთისოფლის თვალისა და კაცის გონებისათვის იმდენად მიუწვდომელია, რომ მას პარადოქსული სილოგიზმით თუ გამოვხატავთ, – სილოგიზმით, რომელიც II-III საუკუნეების ქრისტიან მწერალს ტერტულიანეს ეკუთვნის (ზურაბ კიკნაძის თარგმანი):

„ძე ღვთისა ჯვარს ეცვა! არ მრცხვენია, რადგან სასირცხვოა.

ძე ღვთისა მოკვდა! სრულიად სარწმუნოა, რადგან უაზრობაა.

დამარხული აღდგა! ჭეშმარიტია, რადგან შეუძლებელია“.

რადგან აღდგომის, ისტორიის კონკრეტულ დროს და კონკრეტულ სივრცეში აღსრულებულის, არსი და ბუნება არის შვება და სიხარული, არაა გასაკვირი და ბუნებრივია, რომ ქრისტიანებმა სწორედ აღდგომა მიიჩნიეს უდიდეს მოვლენად და დღესასწაულად. მათ იმთავითვე იზრუნეს ამ დღისა და სასწაულის სათანადოდ გახსენების, გააზრებისა და აღნიშვნისათვის, რის გამოც გზადაგზა შეიქმნა სავედრებელ-სამადლობელი ლოცვების, საგალობლებისა და ბიბლიური საკითხავების უმდიდრესი ციკლი და შემუშავდა წეს-განგება, რომლის შემადგენელი ნაწილი არის კალენდარი, კერძოდ – აღდგომის კალენდარი.

„აღდგომის კალენდარი“ ნიშნავს საეკლესიო-სადღესასწაულო ანუ, ბერძნულად, ეორტალოგიურ ტრადიციას, რომელიც საზღვრავს და აწესებს ამ დღესასწაულის ადგილს წელიწადში. იგი პასუხს სცემს კითხვებზე: წელიწადის რომელ დღეს, რა ნიშნით და თვისებით გამორჩეულ დღეს, უნდა გადავიხადოთ ეს დღესასწაული? რატომ ამ და არა სხვა დღეს? რა ჰქვია ამ დღეს, ანდა სხვანაირად: როგორაა დანომრილი ეს დღე დღეებისა და ღამეების მონაცვლეობის ამა თუ იმ ერთწლიან ციკლში ანუ, რაც იგივეა, ამა თუ იმ კალენდარში, – სამოქალაქო, სამეურნეო, ასტრონომიულ კალენდარში?

ვიდრე ამ საგანს (აღდგომა და კალენდარი) უფრო დაწვრილებით მიმოვიხილავთ, გვმართებს, ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი და გავითვალისწინოთ აღდგომის ადგილი ქრისტიანთა სადღესასწაულო პრაქტიკაში და, მაშასადამე, საეკლესიო კალენდარში. ეს ადგილი გაპირობებულია შინაარსით ანუ ამ მოვლენის (მკვდრეთით აღდგომის) არსით და მნიშვნელობით. ბიბლიის ეგზეგეზის (განმარტების) თანახმად, ძველ აღთქმაში აღდგომის წინასახე, ანუ წინასწარმეტყველება აღდგომის შესახებ, არის ებრაელთა დღესასწაული პასექი (ფესახი), რაც მონობის ქვეყნიდან აღთქმულ ქვეყანაში გადასვლას, უდაბური სივრცის გადალახვას, სიბნელი-

დან სინათლეში გადასვლას ნიშნავს. ამ დღეს შეიწირებოდა ტარიგი (კრავი), რომლის სისხლი შემწირველთა სახლებსა და ძელებს (სვეტებს) უნდა წასცხებოდა, ხორცი კი გულმოდგინედ უნდა შეეჭამათ. ეს დღესასწაული წელიწადის პირველი თვის (ნისანის) მეთოთხმეტე დღეს იწყებოდა და ერთ კვირას გრძელდებოდა (შდრ. გამ. 12:1-20). ქრისტიანთა რწმენით, ამ წესსა და დღესასწაულს ერთადერთი აზრი, დატვირთვა და გამართლება ჰქონდა: იგი ჭეშმარიტი მსხვერპლის, გამომსყიდველის და გამომხსნელის, წუთისოფელში მოსვლასა და თვითშეწირვაზე სახეობრივად მიანიშნებდა და კაცობრიობის ოცნებისა და იმედის ასრულებაზე, სიბნელიდან სინათლეში გადასვლაზე მეტყველებდა. და წელიწადის რომელ დღეს შეეძლო ამ დიდზე დიდი მისიის, ამ საიდუმლოთა საიდუმლოს გამოხატვა და გასაჩინოება, თუ არა გაზაფხულის ბუნიობას (დღეღამტოლობას), უფრო ზუსტად, – გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო დღეებს და ამავე გაზაფხულის პირველ სავსე მთვარეს? ამის გამო ეკლესიამ დღესასწაული აღდგომა იმთავითვე ებრაელთა პასექს ანუ გაზაფხულის ბუნიობას და გაზაფხულის სავსე მთვარეს დაუკავშირა გარკვეული წესებისა და მოთხოვილებების დაწესებით (დათქმით). მთავარი მოთხოვნა იყო გაზაფხულის ბუნიობისა და პირველი სავსემთვარეობის გათვალისწინება, რაც საუკუნეების შემდეგ, იმავე ასტრონომიული კალენდრით სარგებლობის პირობებში, შეუძლებელი შეიქმნა. ამან კი ეკლესიას კალენდრის რეფორმაზე ფიქრი აიძულა.

მეტი სიცხადისათვის ამთავითვე საგანგებოდ და მკაფიოდ უნდა აღვნიშნოთ: ცნებები „საეკლესიო კალენდარი“ და „სამოქალაქო კალენდარი“ ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდება, როგორც ეკლესია და საზოგადოება (იგულისხმება, – სამოქალაქო, ღია საზოგადოება). ეს ისეთივე განსხვავებაა, როგორი განსხვავებაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ასტრონომიულ დროსა და წმინდა დროს, ე.ი. რეალურსა და ირეალურ, ბუნებრივ (ფიზიკურ) და ზებუნებრივ (მეტაფიზიკურ) დროებს შორის.

ასტრონომია ცივილიზაციის, ე.ი. ამქვეყნიური, წუთისოფლისეული მეცნიერების მონაპოვარია. წმინდა დრო კი მარადიული სოფლის ანუ ციური სამყაროს სხივი არის წუთისოფელში. როდესაც ვხმარობთ სიტყვას „კალენდარი“ „საეკლესიოს“ გარეშე, ასტრონომიულ, სამოქალაქო, სამეურნეო კალენდარს ვგულისხმობთ. მისი მიზანი არის დროის აღნუსხვა, რის გამოც მას ტექნიკურ ქრონოგრაფიას უწოდებენ.

„საეკლესიო კალენდარი“ პირობითი ცნებაა და მიგვანიშნებს, რომ ეკლესია და, ზოგადად, რელიგია იყენებს მას (სამოქალაქო კალენდარს) და ამსახურებს თავის სასარგებლოდ. კალენდარი დამოკიდებულია ბუნებაზე, ასტრონომიულ მოვლენებზე; მზის, მთვარისა და დედამიწის ურთიერთმიმართებაზე, მაშინ როდესაც საეკლესიო კალენდარი ამგვარი „დამოკიდებულებისაგან“ თავისუფალია. „საეკლესიო კალენდარი“, რადგან თვითონ არაა კალენდარი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ეყრდნობა რომელიმე კალენდარს, იყენებს მას და, საჭიროების შემთხვევაში, მასში კორექციებიც შეაქვს. ამის ცხადი და კონკრეტული მაგალითია კალენდრის რეფორმა მე-16 საუკუნეში, რომლის უპირველესი ამოცანა აღდგომის კალენდარული ადგილის მოწესრიგება იყო.

ეს პრობლემა მოაწესრიგა პაპი გრიგორ (გრიგორიუს) XIII-ის ბულამ (ქართულად, – სიგელმა, განჩინებამ, დადგენილებამ), რომელიც 1582 წლის 24 თებერვალს გამოქვეყნდა და რომლის სათაურია Inter Gravissimas, რაც ასე ითარგმნება „სიმძიმეთა შორის“. ამ დოკუმენტის მეშვეობით მანამდე არსებული კალენდრის სისტემა, იულიუსის კალენდარი, გადამუშავდა და შეიქმნა მისი ახალი რედაქცია, რომელიც მთელ ქვეყანაში თანდათან გავრცელდა და დამკვიდრდა.

კალენდრის ეს რედაქცია ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგია. XVI საუკუნის 70-იან წლებში იტალიაში მუშაობდა კომისია კარდინალ გულიელმო სირეტოს ხელმძღვანელობით. იგი განიხილავდა რამდენიმე ნაშრომს დროის აღრიცხვის (ქრონოგრაფიის) შესახებ. კომისიამ უპირატესობა მიანიჭა ძმების, მეცნიერებათა დოქტორების, ალოიზიუს და ანტონიუს ლილიუსების ნაშრომს. ამ შეფასებას დაეთანხმა პაპი გრიგორი; აღნიშნული ნაშრომი აკურთხა და მას სანქცია მიანიჭა. ამიტომ კალენდრის ეს ახალი რედაქცია ცნობილია **გრიგორის (გრიგორიუსის) კალენდრის,** ანდა **გრიგორისეული კალენდრის** სახელით (გამოთქმა „გრიგორიანული“ არასასიამოვნოდ ჟღერს და კორექტულიც არაა).

ცნობისათვის: რომის პაპი გრიგორ XIII (ერისკაცობაში: უგო ბონკომპანი; 1502-1585) ეკლესიისა და კულტურის ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა; იყო ცოლშვილიანი (მისი ვაჟი მეცნიერებაში ცნობილი ფიგურაა). იგი რომის ეპისკოპოსად, ე.ი. პაპად ანუ პონტიფექსად 1572 წლის 13 მაისს აირჩიეს 24 საათიანი კონკლავის შემდეგ. მას იცნობენ მეცნიერებისა და კულტურის დიდ მოამაგედ; ვატიკანის ობსერვატორიის დამაარსებლად, რომელიც დღემდე არსებობს და ფუნქციონირებს. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე 1584 წელს პაპის უნივერსიტეტის (Pontificia Universitet Gregoriana) შექმნა. მან ბევრი იღვაწა ეკლესიის ერთიანობისათვის, რის გამოც დაუპირისპირდა რეფორმაციას, მაგრამ ეს დაპირისპირება ისეთ ტრაგიკულ აქტშიც გადაიზარდა, როგორიცაა ბართლომეს ღამე, – 1572 წლის 24 აგვისტოს ჰუგენოტების ხოცვა-ჟლეტა პარიზში.

საკმარისია, თვალი გადავალოთ ამ ბულის ტექსტს, შემდეგი დასკვნა რომ გამოვიტანოთ: აღნიშნული დოკუმენტი მიზნად მოქმედი კალენდრის გაუმჯობესებას ისახავდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო „ძველ საეკლესიო წეს-განგებათა“ ძველთაგანვე დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით შესრულება. ამისათვის გახდა საჭირო ქრონოგრაფიის სისტემის განახლება ანუ, რაც იგივეა, „კალენდრის კორექტურა“, რომელმაც შესაბამისი გზებისა და საშუალებების მოძებნა მოითხოვა.

ვინაიდან ამ დოკუმენტს ქართულენოვანი მკითხველი ბუნდოვნად იცნობს (თარგმანის არარსებობის გამო), მის მიმართ ჩვენი მკითხველების ყურადღებას საგანგებოდ შევაჩერებთ. ტექსტი ასე იწყება: „გრიგორი, ეპისკოპოსი, ღვთის მსახურთა მსახური, მარადჟამიერი მოხსენიებისათვის: ჩვენი სამწყემსო სამსახურის უმძიმეს საზრუნავთა შორის უკანასკნელ ადგილზე არ დგას ყველა ის საზრუნავი, რომელიც ტრიდეტის წმინდა კრებამ სამოციქულო საყდარს წარუდგინა, რათა ღვთის შეწევნით მათი კეთილად აღსრულება შევძლოთ... აღნიშნული საქმეებიდან გამოიყოფა ორი სფერო, რომელიც განხილვას პირველ რიგში მოითხოვს: პირველი მოიცავს ლოცვებს და რელიგიურ ჰიმნებს, რომლებიც უქმე და სადაგ დღეებს განეკუთვნება. სხვანი კი მოიცავს აღდგომის დღესასწაულის წლიურ ციკლებს და მათზე დამოკიდებულ დღესასწაულებს, რომლებიც მზისა და მთვარის მოძრაობათა მიხედვით განისაზღვრება. პირველი ნაწილი ჩვენმა წინამორბედმა ნეტარხსენებულმა პიუს V-მ უკვე სრულყო და გააცხადა. მეორე კი, რომელიც კალენდრის განაწესისამებრ განახლებას გულისხმობს, ჩვენი საყდრის წინამოადგილემ, რომის პონტიფექსმა, განხილვის საგანად კიდევ ერთხელ აქცია. მაგრამ დღევანდელ დღემდე მან ვერ შეძლო მისი სრულყოფა და საბოლოო მსჯავრი გამოსატანი დარჩა. მეთოდები, რომლებიც კალენდრის გაუმჯობესებისათვის წარმოადგინეს პიროვნებებმა, რომლებიც ციური სხეულების მოძრაობაში გარკვეული არიან, შეიცავენ დიდსა და ძნელად მოსაგვარებელ სირთულეებს და ამის გამო ამგვარი გაუმჯობესების საკითხი მუდამ შინაგანი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მისი მოუწესრიგებლობა ეკლესიის ძველ წესებს აზიანებს. როდესაც ჩვენ, ღვთისთვის უღირსს, ეს სამსახური მოგვანდეს და ეს წინადადება და ეს საქმე შემოგვთავაზეს, ჩემგან დაფასებულმა შვილმა ანტონიუს ლილიუსმა, მედიცინისა და მეცნიერების დოქტორმა, წარმოგვიდგინა თხზულება, რომელიც პირველად მისმა ხორციელმა ძმამ, ალისიუსმა, შეადგინა...“.

თავის მთავარ მიზანს ბულა ასე განსაზღვრავს: „აღდგომის დღესასწაულის ჯერისამებრ გადახდისათვის აუცილებელია იმ წასისა და რიგის დაცვა, რაც მოცემულია წმინდა მამებისა და რომის პირველი პაპების, განსაკუთრებით კი პიუს I-ისა და ბიქტორ I-ის განაწესებში, აგრეთვე, და პირველ რიგში, ნიკეის დიდი კრების განაწესში და შემდეგდროინდელ განაწესებში, რომლებიც ერთმანეთისაგან მოუცილებელი და ერთმანეთს შემტკიცებული სამი პრინციპის გათვალისწინებას მოითხოვს. პირველია გაზაფხულის ბუნიობის ზუსტად განსაზღვრა; მეორე, მთვარის ავსების თარიღის გამოთვლა, რადგან იგი ზოგჯერ ემთხვევა პირველი თვის (ნისანის, ნ.პ.) მე-14 დღეს, – ბუნიობას, ზოგჯერ კი მოსდევს მას და, ბოლოს, გაზაფხულის სავსემთვარის მომდევნო კვირადღის დაცვა. ჩვენ, – დასძენს პონტიფექსი, – იმისთვისაც ვიზრუნეთ, რომ არა მხოლოდ გაზაფხულის ბუნიობა დაბრუნებოდა თავის თავდაპირველ ადგილს, რომელსაც იგი ნიკეის კრებიდან ჩვენ დრომდე დაახლოებით ათი დღით ჩამორჩა; ჩვენ არა მხოლოდ დავაზუსტეთ მთვარის აღვსების თარიღები მე-14 ნისანის შემდეგ, არამედ წარმოვადგინეთ გზა და მეთოდი, თუ როგორ უნდა დავიცვათ გაზაფხულის ბუნიობა და მე-14 ნისანი თავდაპირველ [ასტრონომიულ] ადგილს მოწყვეტისაგან“ (§ 6).

მცირე ექსკურსი: რადგან გაზაფხულის ბუნიობა მაშინ, პირველი მსიფლიო საეკლესიო კრების დროს (325), მარტის 21-ში მოდიოდა, წმინდა მამებმა გაზაფხულის ბუნიობის თარიღად სწორედ 21 მარტი გამოაცხადეს. მაგრამ ასტრონომიული მოვლენის, პრეცესიის, გამო და კიდევ იმის გამო, რომ იულიუსის კალენდარს სიზუსტე აკლია, ეს თარიღი უკვე 1582 წელს 10 დღით ასცდა გაზაფხულის ბუნიობას. ეს ნიშნავს: ძველი ანუ იულიუსის კალენდრის 21 მარტი XVI საუკუნეში გაზაფხულის ბუნიობას აღარ ესადაგებოდა. ამდენად, აღნიშნული საუკუნის 21 მარტი აღარ იყო ის 21 მარტი, რომელიც ეკლესიამ გაზაფხულის ბუნიობის თარიღად განაწესა.

ხსენებულმა ბულამ სწორედ ეს ცდომილება გამოასწორა. პაპმა გრიგორ XIII-მ სწორედ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით განაცხადა: ჩვენ განვაჩინეთ და ვბრძანებთ, „რომ 1582 წლის ოქტომბრის თვეში ამოღებულ იქნას ათი დღე 5 ოქტომბრიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით“ ($ 7). პაპი გრიგორის ამ რეფორმის წყალობით შემცირდა ის სხვაობა, რომელიც იულიუსის კალენდრის საშუალო წელიწადსა და ასტრონომიულ ტროპიკულ წელიწადს შორის არსებობს. ეს შესაძლებელი გახდა ნაკიან წელიწადთა რიცხვის შემცირებით. გვმართებს, გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ შემდეგი: იულიუსის კალენდრის მიხედვით ერთმანეთის მომდევნო ყოველი სამი წელწადი ჩვეულებრივი წელიწადია, მეოთხე წელიწადი კი – ნაკიანი წელიწადი. ნაკიანობის საგანგებო წესის ანუ გამონაკლისობის წესის მიხედვით, რაც გრიგორიუსის კალენდარული სისტემის შემადგენელი ნაწილია, ამა თუ იმ საუკუნის ყოველი ბოლო წელიწადი, რომელიც იულიუს კეისრის წესის შესაბამისად ნაკიანია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოცხადდება ნაკიანად, თუკი

მოცემული წელიწადის რიცხვი 4-ზე, ანდა 400-ზე, უნაშთოდ იყოფა. მაგალითად: 1600 წელი ნაკიანია, 1700, 1800 და 1900 – უნაკო. შესაბამისად (მომავალში): 2100, 2200, 2300 და 2500 წლები უნაკონი იქნება. პაპ გრიგორ XIII-ის რეფორმის წყალობით ნაკიანი წლების რიცხვი შემცირდა და ასევე შემცირდა, გამონაკლისობის ამ წესის შესაბამისად, საშუალო კალენდარული წელიწადის ხანგრძლივობა. ასე რომ, ერთი მხრივ, ყოველი 400 წელიწადი გრიგორიუსის კალენდარში სამი დღით მცირეა იულიუსის კალენდართან შედარებით, მეორე მხრივ კი, ამის შედეგად, ერთი კალენდარული წელიწადის საშუალო ხამგრძლივობა უფრო ზუსტად ესატყვისება ასტრონომიულ ტროპიკულ წელიწადს ანუ, რაც იგივეა, – ასტრონომიულ სინამდვილეს, ბუნებას. ამის გამო გაზაფხულის დღეღამტოლობა ანუ ბუნიობა კვლავ 21 მარტზე მოვიდა, ისე როგორც ეს 325 წელს ნიკეის კრებამ განაჩინა. თუკი ერთი ზედმეტი დღე იულიუსის კალენდრის მიხედვით ყოველ 128 წელიწადში წარმოიქმნება, გრიგორიუსის კალენდრის მიხედვით – მხოლოდ 3200 წლის განმავლობაში, რაც ფაქტობრივად კალენდრის პრობლემის გადაჭრას ნიშნავს.

დავუბრუნდეთ გამოთქმასა და ცნებას „საეკლესიო კალენდარი“. იგი განეკუთვნება დარგს, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში ეკლესიოლოგიას უწოდებენ. იგი მოიცავს სადაგი ლიტურგიკული დღეებისა და სადღესასწაულო დღეების, როგორც მოძრავების, ისე უძრავების, მთელ წყებას, რომლის თანმიმდევრობა ეკლესიის მიერ არის განაწილებული და განსაზღვრული. ეს განწილება და დაჯგუფება, ანუ განწესება, რომლის მიხედვითაც საეკლესიო წელიწადის ლიტურგიკულ დღეებსა და დღესასწაულებს თავ-თავიანთი ადგილი აქვთ მიჩენილი, ეფუძნება ბიბლიურ ისტორიას და საეკლესიო ცხოვრებას. საეკლესიო პრაქტიკისათვის სულაც არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, თუ რომელი სახის ასტრონომიულ კალენდარზე არიან ორიენტირებული სადაგი დღეები და დღესასწაულები. საეკლესიო კალენდრის შედგენაში არსობრივი მნიშვნელობა აქვს არა სამოქალაქო კალენდრის სახეობას, არამედ საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემას. რაც შეეხება ეკლესიისა და ასტრონომიული კალენდრების ურთიერთობას, ეკლესიას ამ შემთხვევაში აინტერესებს არა იმდენად ასტრონომიული (სამოქალაქო) კალენდრის სახეობა, არამედ თავად ასტრონომიული მონაცემები და ასტრონომიული სინამდვილე. ამას ადასტურებს „აღდგომის კალენდრის“ ისტორია, რომელიც მოკლედ და ზოგადად ასეთია:

სახარებისეული ტრადიციის თანახმად, იესო ქრისტე იუდეველთა პასექის დღესასწაულზე აცვეს ჯვარს. ჯვარცმა პარასკევ დღეს მოხდა, სამი დღის შემდეგ კი, ანუ კვირას, ქრისტე აღდგა. ამის გამო ქრისტეს აღდგომა, უფრო სწორად, აღდგომის დღესასწაული იმთავითვე ბუნებრივად დაუკავშირდა ებრაელთა პასექს („ფესახს“). ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ორივე მოვლენა, რომელთაგან ერთი ხსოვნის დღეა (დიდი ანუ ვნების პარასკევი, წითელი პარასკევი), მეორე კი ზეიმის დღე (აღდგომა, აღვსება, ზატიკთა ზატიკი), აღმოსავლეთში ერთი და იმავე სიტყვით გამოიხატა. ეს სიტყვაა პასხა, რომელიც მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „პასხეინ“ და „ტანჯვას“, „წამებას“ ანუ ლათ. passio-ს ნიშნავს. ვინაიდან ორი სიტყვა: ებრაული „პასექი“ და ბერძნული „პასხა“ („პასხეინ“) მსგავსნი არიან, ზოგიერთ ეკლესიაში გაჩნდა ცდომილება, რომ თითქოს აღნიშნული ორი მოვლენა, მსგავსი სიტყვებით გამოხატული, არსებითაც ერთი და იგივე მოვლენაა და, ამდენად, შესაბამისი საეკლესიო დღეები (ჯვარცმა და აღდგომა) ერთი და იგივე დღესასწაულის ორი ნაწილია. ეს გახლდათ იმის მთავარი მიზეზი, რომ მცირე აზიაში ვნებისა და აღდგომისათვის შემოღებულ იქნა ერთი კომბინირებული დღესასწაული. ეს პრაქტიკა ცნობილია სახელწოდებით *კვარტოდეციმანი* (გამოთქმა მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან და ნიშნავს: *14 დღის ნაწილი, მე-14 ნისანზე მინიშნება*). ამ ჩვეულების წინააღმდეგ ორი საგანგებო კანონი შეიქმნა: მოციქულთა მე-7 კანონი და ანტიოქიის 341 წლის კრების კანონი (ანტიოქია 1). მოციქულთა კანონი გვაუწყებს: „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსმან, ანუ ხუცესმან, ანუ დიაკონმან წმიდაჲ დღე აღვსებისაჲ უწინარეს გაზაფხულისა დღეთაჲსა ჰურიათა თანა სრულ-ყოს, განიკუეთენ“. ნიკეის 325 წლის კრებამ განაწესა, რომ აღდგომა უსათუოდ კვირადღეს უნდა ვიდღესასწაულოთ, კერძოდ, ასტრონომიული გაზაფხულის პირველი სავსემთვარის მომდევნო კვირადღეს. თუკი მთვარე კვირას აივსება, აღდგომა შემდეგ კვირადღეს უნდა გადავიხადოთ, რათა ის არ დაემთხვეს იუდეველთა პასექს (ფესახს). ეს ნიშნავს: უნდა დავიცვათ ის წესი, რომელსაც დასავლეთში (რომსა და ალექსანდრიაში) მყარად იცავენ.

როგორც ვხედავთ, ესაა საეკლესიო განაწესი, რომლის დაცვას ან არდაცვას სამოქალაქო-ასტრონომიულ კალენდართან პირდაპირი კავშირი არა აქვს; იგი შეიძლება დაცულ იქნას (ანდა დარღვეული) ნებისმიერი კალენდრის პირობებში. 1582 წლის კალენდრის რეფორმა მიზნად ისახავდა იმ ძველი საეკლესო ტრადიციის დაცვას, რომლის მიხედვით, აღდგომა გაზაფხულის ბუნიობას არ უნდა მოწყვეტოდა. ბუნიობის თარიღად კი ამ ტრადიციამ 21 მარტი მონიშნა და აღდგომას 22 მარტსა და 21 აპრილს შორის უნდა ემოძრავა (ერთი თვის მანძილზე). პაპმა გრიგორმა და მისი წინამძღოლობით რომის ეკლესიამ სწორედ ამ საეკლესიო განაწესის დაცვის პრინციპი და მექანიზმი შეიმუშავა.

საქმეს არ ვირჩევთ, მხოლოდ ვინაწილებთ

ადამიანისთვის ოჯახი ოდითგანვე უდიდესი ფასეულობის მატარებელია; იგი მისი ციხე-გალავანი, სიმდიდრე და სინდისია; რაც არ უნდა შორს წავიდეს, თუ მანძილი საშუალებას მისცემს, შინ ბრუნდება და ღამის გათევას ყოველთვის საკუთარ ჭერქვეშ ამჯობინებს. ჭიქა ღვინოც რომ ასწიოს, ფუძის ანგელოზსა და დედაბოძს დალოცავს, კერაზე ცეცხლს არ ჩააქრობს; რამდენი შვილიც არ უნდა ჰყავდეს, ძირეულ ოჯახს არ მოშლის და შთამომავლობას ამრავლებს. უფროსი თაობა თავს შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლით იწონებს, ახალგაზრდები კი წინაპრებით ამაყობენ.

ათწლეულების წინათ, ქალაქებში ფაბრიკა-ქარხნების ინტენსიურმა ამუშავებამ სოფლები დააცარიელა, ახლა კი უცხოეთში მიგრაციამ ქალაქებსაც შეუქმნა საფრთხე. უფრო სწორად კი – ოჯახს და ვინ იცის, მისი წევრები რა დროით დააშორა ერთმანეთს. საბედნიეროდ, არიან ისეთი ოჯახები, რომლებიც ამ მძიმე ეკონომიკურ პირობებშიც ინარჩუნებენ ერთად ცხოვრების ტრადიციას და ეს კარგადაც გამოსდით.

შრომის საკრებულოს წევრების, **ზური და სოფო ხითარიანების** ოჯახი სწორედ ასეთია, სადაც სამი თაობა ცხოვრობს შეხმატკბილებულად. მათ სამი შვილი აღზარდეს და დღესაც ძველებურად ახერხებენ მათთვის ხელის შეშველებას. კმაყოფილნი არიან იმით, რასაც ღმერთი და საკუთარი მარჯვენა აძლევთ.

ამჟამად ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს ქალბატონი სოფო და მისი ვაჟი – არტური პასუხობენ:

ნინო ჟღენტი

ტრადიცია, რაც თქვენს ოჯახში შეუცვლელია.

სოფო: ქრისტიანული, კერძოდ, კათოლიკური აღმსარებლობით, შვილებისა და შვილიშვილების აღზრდა. ჩვენს ოჯახში შემოსული თითოეული ახალი წევრი ამ სარწმუნოებას ეზიარება და პატივს სცემს მას.

მორწმუნე ადამიანი სიკეთითა და სიყვარულით ირჯება, უმცროს-უფროსობა იცის, არც მტრის და არც მოყვასის საზიანოდ არაფერს მოიმოქმედებს, შვილებს ყოველთვის და ყველაფერში ზომიერებას ვასწავლი და ასეც ცხოვრობენ.

არტურ, ორივე ძმას ცოლ-შვილი გყავთ, ცხრა ადამიანი ერთ ოჯახში ცხოვრობთ, თანაც საქმე მარტო რაოდენობაში როდია... სამი, ასაკით სხვადასხვა თაობა თავიანთი შეხედულებებით, გამოცდილებებით, სურვილებით... რაში მდგომარეობს ჰარმონიული თანაცხოვრების საიდუმლო?

არტური: ჩვენ ვმუშაობთ, ჰაიკუი და ქრისტინე, დედასთან ერთად, ოჯახს და ბავშვებს უვლიან. საქმეს არ ვირჩევთ, მხოლოდ ვინაწილებთ, მშობლების პატივისცემა გვაქვს, თუმცა არც საკუთარ პრინციპებს ვღალატობთ.

ახალგაზრდები ნაკლებად მომთმენნი არიან, ნუთუ ცალკე ცხოვრებაზე არ ოცნებობთ?

არტური: ოცნება არა, მაგრამ სურვილი როგორ არ მაქვს, თუმცა ასე, ერთად ყოფნაც, ძნელად მეთმობა. მაინც მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობა ოჯახის წინაშე მეტ პასუხისმგებლობას შეგვძენს. თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ სურვილია; საკარმიდამო ნაკვეთიც კი მხოლოდ ერთი ოჯახის სამყოფი გვაქვს.

კეთილმა ადამიანებმა სამუშაოც მოგვცეს, ოჯახს არ ეღალატება და შრომაც არ გვეზარება. ამ შემოსავლით სურვილებს ვერ ავისრულებთ, აუცილებელს კი ვახერხებთ.

ქალბატონო სოფო, თანაცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებზე რას გვეტყვით?

სოფო: მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია, რძლებიც საკუთარ შვილებად მიმაჩნია, ჩემგანაც სწავლობენ და მათგანაც ვსწავლობ. ღმერთს მხოლოდ ჩემი მეუღლის ჯანმრთელობას ვთხოვ, სხვა მხრივ, ყველაფერი კარგად არის. ბიჭები ხომ უკვე დიდები არიან, ცუდსა და შეუფერებელს არაფერს აკეთებენ და არც გააკეთებენ, მაგრამ ხათრისა და რიდის გამო, მამის უთქმელად ნაბიჯს არ დგამენ.

ახლა მარხვის დღეებია და, ბავშვების გარდა, მთელი ოჯახი ვმარხულობთ. გაიზრდებიან და ისინიც, ღვთის ნებით, ასევე მოიქცევიან.

სურვილები, რასაც სამომავლოდ იტოვებთ.

სოფო: მშვიდობა ოჯახში, ქვეყანასა და მთელ პლანეტაზე.

ერთი დიდი სურვილიც მაქვს, მინდა, ჩემმა ქალიშვილმაც მალე გამოსცადოს დედობა.

თქვენც ყველაფერს კარგს გისურვებთ, მადლობა ყურადღებისთვის და ურთიერთობისთვის.

ძველი ღმერთი დატყვევებული მღვდელთმთავარი

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ № 11-12. 2011, № 1,3. 2012)

იმ დროს ნაპოლეონი უჩვეულო მწუხარებაში იყო, მხოლოდ ბერტრან მხედართმთავარი ახლდა გვერდით. ის დარჩა მხოლოდ მისი ერთგული და თავისი ნებით გაიზიარა მისი ბატონის ბედი. ნაპოლეონთან იყო აგრეთვე გრაფი იოსებ რეთელი. ისინი უმზერდნენ მეფობიდან გადამდგარი მთავრის მწუხარე მდგომარეობას. უცებ კეისარი მობრუნდა და სასახლის მცველს ჰკითხა: „იოსებ, ფონტენებლოს ციხეში შენც იყავი, როცა პიო მე-7 ამ ჩემს მომავალზე იწინასწარმეტყველა?“

– დიახ, თვითმპყრობელო ხელმწიფევ, უპასუხა მან.

– გახსოვს მასთან ჩემი ლაპარაკი? ჰკითხა კეისარმა.

– დიახ, დიდებულო ხელმწიფევ, არ შემიძლია ამის დავიწყება. მღვდელმთავარი იმ დროს საზოგადო კაცად არ მეჩვენებოდა.

– აბა როგორ?

– როგორც ქვეყანაზე ქრისტეს მომაგიერედ!

– სწორეს ამბობ შვილო, – უთხრა კეისარმა, მე მას მაშინ დავცინოდი, მაგრამ რაც მითხრა ჭეშმარიტად ყველაფერი ისე მომივიდა, ნამდვილად მღვდელმთავარი ქრისტეს მაგიერი არის! ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჰკითხა: „მღვდელმთავრის სიტყვები ისევ გულში გაქვთ?“

– სულ ფიქრში მაქვს დიდებულო ხელმწიფევ! ყოვლად სამღვდელო მამამ სთქვა: „ძველი ღმერთი ისევ ცოცხალი არისო“. მსოფლიო ისტორიიდან მოგიყვათ მაგალითები, როდესაც წარმართი თუ ქრისტიანი მმართველები როგორ დევნიდნენ ეკლესიას და მღვდელმთავარს და როგორ შეუმუსრა ეკლესიის მდევნელნი ღმერთმა! სამღვდელმთავრო ტახტი და ეკლესია კი მუდამ მტკიცედ დარჩნენ! სთქვი იოსებ სთქვი, ძალას ატანდა ნაპოლეონი, რადგან შეამჩნია, რომ ჭაბუკი ვეღარ ბედავდა სიტყვის გაგრძელებას.

– ისევ ძველი ღმერთი ასევე თქვენს დიდებულებასაც შეუმუსრავს, სთქვა მღვდელმთავარმა, თუ თავს არ დაანებებთ ეკლესიის დევნასო.

ეგრე იყო დაეთანხმა კეისარი, შენი სანყაო ავსილიაო და ეკლესიის მდევნელთა ხვედრი უნდა გაიზიაროო, მითხრა პიო მე-7. მღვდელმთავარი ცრუ წინასწარმეტყველი არ ყოფილა, ჩემს სახელმწიფოში ჩემი ხელისუფლების შემმუსვრელი კაცნი არ ყოფილან, თვით ყოვლისმპყრობელმა გააკეთა ეს! მე სულელი დიდი გამარჯვებებით დაბრმავებული ვერ ვხედავდი, თორემ აშკარად ჩანს 18 საუკუნის ისტორიიდან, რომ ყოველი ძლიერება პეტრეს კლდეზე დარტყმით, შეიმუსრება! ჭეშმარიტად, ძველი ღმერთი ცოცხალი არის და თავის მომაგიერეს შემწუხებელთ ძირს დასცემს, დალეწავს!

– არ მინდა წინააღმდეგ დადგომა თვითმპყრობელო ხელმწიფეო, სთქვა ბერტრანმა და ამბობდა, რომ რუსეთში ის საშინელი ზამთარი ღვთის ბრძანებით არ მოვიდა ჩვენს ჯარზეო. მაგრამ კი ნამდვილად გადამწყვეტი როლი მაგ ზამთარმა ითამაშაო!

ბრძოლის ბედის გადამწყვეტელი ღმერთი არის მხედართმთავარო! დაბეჯითებით უპასუხა ნაპოლეონმა. ამ ჩემმა უბედურებამ თვალი ამიხილა. დამარცხებანი, დაქცევანი და ტყვეობანი, რაც მომივიდა, სულ ყველაფერი ეკლესიის მოთავის წინააღმდეგობით მომივიდა! პეტრეს ტახტის ყოვლისმპყრობელმა მცველმფარველმა, ჩემი ტახტი შემუსრა!

ბერტრანს საწინააღმდეგო არაფერი არ უთქვამს. დიდხანს სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო კეისარმა: ეგვიპტეში ვთქვი, რომ ღმერთს ძე არა ჰყავს, დღეს კი იესო ქრისტეს ღვთაებას ფიცით ვამტკიცებ! მისი სასწაულებიდან ყველაზე უფრო ცხადად მისი გამარჯვება მაჯერებს, რომ იგი ღმერთი არის! იგია დამბადებელი ყოვლისა! გაკვირვებული ვართ დიდი ალექსანდრეს ქვეყნის მპყრობელობაზე, მაგრამ რა არის ალექსანდრეს ქვეყნის მპყრობელობა ქრისტეს ქვეყნის მპყრობელობასთან? – არაფერი. ალექსანდრეს მპყრობელობა წუთიერი იყო, ქრისტე კი სულ მფლობელობს და თავის თავთან აკავშირებს ყველა ერს, მთელ კაცობრიობას! მის მპყრობელობას 1800 წლამდე მოუღწევია და ეჭვი არ არის, რომ ქვეყნის დასასრულამდე გასტანს! ქრისტეს მფლობელობა თითოეულ ადამიანზე არის ის, რაც ყველაზე ძნელია – გულის მოგება. ის, რასაც ბევრჯერ სულ ტყუილუბრალოდ ელის მამა შვილისაგან, სიძე თავის დედოფლისაგან, ძმა ძმისაგან – ეს არის გული, სიყვარული! იესო მილიონებზე ბატონობს! ეს ყველა სასწაულზე დიდი სასწაულია! ალექსანდრეს, კეისარსა და ჰანიბალს, მთელი თავისი გონიერებით ასეთი საქმე არ გაუკეთებიათ. ქვეყნებზე იბატონეს, მაგრამ კაცობრიობის გული ვერ მოიგეს.

ქრისტეს მიერ შექმნილი მილიონობით გულნი, არიან უკვე 1800 წელი, მილიონობით ადამიანი მისთვის წამებული გახდა! მილიონები მას ემორჩილებიან და თავის თავს უარყოფენ! ამის შემდეგ ვინ არ იცნობს ქრისტეს და არ აღიარებს, რომ იგი არის სიტყვა ღვთისა, რომელმაც ქვეყნიერება გააჩინა?

– კაცი რომ ღრმად დაუფიქრდეს, განაცხადა ბერტრან მხედართმთავარმა, ვალდებულია აღიაროს, რომ ქრისტეს მეუფების მტკიცედ არსებობა, რომელიც ამ ქვეყანაზე მწუხარებითა და თავის თავის უარყოფაზე არის დაფუძნებული, სამარადისო სასნაულია!

იცით მხედართმთავარო, – სთქვა ნაპოლეონმა, – ურდოები ამიმხედრებია, ისე რომ ჩემთვის სასიკვდილოდ თავს სწირავდნენ; მაგრამ საჭირო იყო ჩემი საქმითაც იქ ყოფნა, თვალთმაქცური რიხი, ჩემი ხმაურობა. მაგრამ არ ვიცი ჩემი სახელი და სიყვარული ადამიანთა გულებში საუკუნოდ როგორ უნდა დარჩეს. ეხლა წმინდა ელენეს კუნძულზე ვართ და სად არიან ჩემი მეგობრები? მხოლოდ თქვენ ორნი ჩემი პატიმრობის მონაწილე ხართ. ცოტა დრო გაივლის და ჩემი სხეული მიწად გადაიქცევა.

(გაგრძელება იქნება)

ავტორი კონრად ბოლონდენელი
მესხის იოანე მღვდელ გვარამაძის
მიერ ნათარგმნი

(მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

სიქსტეს მადონა და რუსული კულტურა

(გაგრძელება, დასაწყისი :საბა“ 2011, №9–11; 2012, №3)

გერცენი, თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომში „*წარსული და ფიქრები*“, აღწერს სიქსტეს მადონას ნახვის შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებებს და აცხადებს, რომ ღვთისმშობელი „*ვერ გაეთიშება თავის მიწიერ ბუნებას*“, რის გამოც იგი, პირველ რიგში, რჩება ქალბატონად და დედად. ეს არის ღვთისმშობელი, მშობიარობის შემდეგ თავისი უჩვეულო ხვედრით გაბრუებული და დაბნეული. გეგონება, იგი დაარწმუნეს, რომ ღვთის დედაა და სურს, გასცეს თავისი ძე, ლამის აცხადებს: „*აჰა, წაიყვანეთ, ჩემი არაა*“, თანაც ისე იკრავს გულში, თითქოს სურს, განშორდეს კიდეც და არც განშორდეს თავის ხვედრს, რაც მას შვილს ნაართმევს; „*შესაძლებელი რომ იყოს, მასთან ერთად გაიქცეოდა სადმე შორს და უბრალოდ მოეფერებოდა, ძუძუთი გამოკვებავდა, არა როგორც სამყაროს მხსნელს, არამედ როგორც საკუთარ ვაჟს, რადგან ის, პირველ რიგში, ქალია და დედა და არა იზიდას, რეას, ან სხვა რომელიმე ღმერთქალის და*“. ამრიგად, გერცენის აზრით, „სიქსტეს მადონა“ არის „*ქალბატონი-დედა*“. თუკი გერცენის ამგვარ ინტერპრეტაციას დავთანხმდებით, მაშინ *სიქსტეს მადონა* ყველა ამქვეყნიური *Matres dolorosa*-ს პროტოტიპი იქნება.

1857 წ. ტოლსტოიმაც მოინახულა გალერეა და თავის დღიურში ჩაწერა: „*მადონამ მთელი სიღრმით შემძრა*“, და კიდევ: „*ისევ გალერეაში წავედი, ყველაფრის წინაშე გავცივდი, გარდა ღვთისმშობლისა*“. მაგრამ მომდევნო წლებში იგი ისე ზლუდავს თავის შთაბეჭდილებებს, რომ 1902 წელს ს. ბულგაკოვთან საუბარში შემდეგს იტყვის: „*დიახ, მე იქ წამიყვანეს, დამაყენეს იმ წამების მერხთან, თვალებით შევისრუტე, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე. გოგონამ შვა ყრმა, მორჩა და გათავდა, რა არის აქ გასაკვირი?*“. ტოლსტოის ამ გვიანდელ, ლამის დამამცირებელ შეფასებაში, გერცენის რადიკალური იდეებია გატარებული, მაგრამ ის, რაც ტოლსტოიმ დაწერა 1857 წელს და რასაც საუბარში იტყვის 1902 წელს, აშკარად მეტყველებს რაფაელის მისამართით ატეხილ რეაქციულ მოძრაობაზე, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით და, რაღა თქმა უნდა, მარქსისტებმა, რომელთა პრინციპიც ხელოვნების სოციალური გამოყენება იყო, უარყვეს ხელოვნების ეს ნიმუში, რაც, მათი აზრით, სოციალურად უსარგებლო იყო, მიუხედავად იმისა რომ იგი სულის იმ ყველაზე ღრმა სიმებს ეხებოდა, რითაც მას აღიქვამდი. მიუხედავად *სიქსტეს მადონას* მიმართ გამოჩენილი არასახარბიელო განწყობისა, ტოლსტოიმ, რომელსაც 1858 წელს დეიდა ალექსანდრა ანდრეევნა ერგოლსკაიამ საჩუქრად გადასცა ეს შედევრი, იგი თავის კაბინეტში შეინახა, სადაც დღემდეა დაცული.

სრულიად სხვაგვარმა განცდებმა შეიპყრო ღვთისმშობლის სურათის წინაშე მდგომი *დოსტოევსკი:* მისი თვალსაზრისი, სრულიად კონტრასტული ბელინსკის, გერცენისა და ტოლსტოის მიერ გამოხატულ შეფასებებთან შედარებით, კვლავ რჩება რუსული სალიტერატურო და სასულიერო მწერლობის ფუნდამენტურ ეტაპად. თ. დოსტოევსკიმ და მისმა მეუღლემ 1867 წელს ევროპაში იმოგზაურეს და დრეზდენში 20 აპრილს ჩავიდნენ. სავალდებულო ვიზიტებს შორის, მათ მოინახულეს გალერეაც, სადაც დიდი მწერალი მოინუსხა რაფაელის ამ შედევრით. ვნახოთ, რას მოგვითხრობს ანა დოსტოევსკაია ამ მოგზაურობისა და მწერლის განცდების შესახებ თავის წიგნში „მოგონებები“:

„*ბერლინში ორი დღის გატარების შემდეგ, დრეზდენში გავემგზავრეთ... თეოდორ მიხაილის ძეს ძალიან უყვარდა დრეზდენი, განსაკუთრებით მისი ცნობილი სურათების გალერეისა და შემოგარენში დიდებული ბაღების გამო... ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში დავბინავდით, ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და გალერეის სანახავად გავეშურეთ, რომლის ჩემთვის ჩვენებაც ყველაზე მეტად სურდა ჩემს მეუღლეს... მან მთელი დარბაზები შეუსვენებლივ შემომატარა და პირდაპირ სიქსტეს მადონასთან მიმიყვანა, სურათთან, რომელსაც იგი კაცობრიობის გენიის უმაღლეს გამოხატულებად მიიჩნევდა. შემდგომში, მას ვხედავდი, საათობით მდგომს, ამ შეუდარებელი სილამაზის წინაშე, გაშეშებულს, სიყვარულითა და აღტაცებით მომზირალს. ვიტყვი, რომ პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე სიქსტეს მადონამ მოახდინა, გამაოგნებელი იყო: მეგონა, რომ ღვთისმშობელი ყრმით ხელში თითქოს ზეციდან ეშვებოდა მნახველთა შესახვედრად. მოგვიანებით, მსგავსი შთაბეჭდილება განვიცადე, როდესაც კიევში, წმიდა ვლადიმირის მკვეთრად განათებულ ტაძარში შევედი და მხატვარ ვასნეცოვის გენიალური შედევრი ვიხილე. იგივე შთაბეჭდილება – ღვთისმშობელმა, ღვთაებრივ სახეზე აღბეჭდილი კეთილშობილი ღიმილით, ჩემთან შესახვედრად მომავალმა, შემძრა და ამიფორიაქა სული... დრეზდენში გატარებულმა დრომ უდიდესი ბედნიერება და სიმშვიდე მომგვარა... ზუსტად ორ საათზე გალერეაში მივდიოდი, ვიცოდი, რომ ამ დროს აქ მოვიდოდა ჩემი ქმარი და ერთად დავტკბებოდით მისი საყვარელი სურათების ცქერით, რომლებიც სულ მალე ჩემს საყვარელ სურათებადაც იქცნენ. თეოდორ მიხაილის ძე ფერწერულ ტილოებს შორის ყველაზე მაღლა აყენებდა რაფაელის ნახატებს, ხოლო მისი შემოქმედების უმაღლეს მწვერვალად სიქსტეს მადონას მიიჩნევდა*“.

აქვე ანა იხსენებს, როგორ აჩუქა მის მეუღლეს რაფაელის მადონას დიდი ასლი ტოლსტოის ქვრივმა, გრაფინია სოფია ანდრეევნამ, რომელიც მან დრეზდენში მეგობრისგან შეიძინა. დოსტოევსკი, საჩუქრის მიღებამდე რამდენიმე კვირით ადრე, სწუხდა, რომ ვერ შეძლო *სიქსტეს მადონას* კარგი რეპროდუქციის შეძენა, ასე რომ გრაფინიამ მას მშვენიერი სიურპრიზი მოუმზადა. ანამ რეპროდუქცია, რომელიც სურათის ორიგინალის ზომისა იყო, ჩარჩოში ჩასვა, მასზე მხოლოდ ღვთისმშობელი იყო გამოსახული, ყრმით ხელში, სხვა ფიგურების გარეშე, და ქმარს 30 ოქტომბერს, დაბადების დღეზე მიართვა. მწერალმა აღფრთოვანება ვერ დამალა თავისი „საყვარელი ღვთისმშობლის“ წინაშე და მერე, „*რამდენჯერ მინახავს ამ სურათის წინ იმგვარ ექსტაზში, რომ შესვლას ვერ ვბედავდი, და რომ არ შემუწუხებინა, უხმაუროდ გავდიოდი გარეთ*“, – იხსნებს ანა. საგულისხმოა, რომ ეს სურათი ჩამოიტანა ვ. სოლოვიოვმა, გრაფინია ტოლსტოის დიდმა მეგობარმა და ფილოსოფოსმა; ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო დოსტოევსკისთვის, რომ მის სხვადასხვა ნაწარმოებებშიც კი აისახა. „ბოზარდში“ რაფაელის ეს შედევრი ვერსილოვის სახლში ჰკიდია ანტიკურ ხატებს შორის, რომლებიც ოჯახის საკუთრება იყო. მაგრამ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მაკარ ივანეს ძე დოლგორუკი, ვერსილოვის ყოფილი მსახური და მთავარი გმირის კანონიერი მამა – *ერთ-ერთი მომლოცველთაგანი, რომელიც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე გადაწყვეტს, რომ ქრისტეს მსგავსად, არც მას ჰქონდეს „თავის დასადები მოსასვენებლად“ და ერთი მონასტრიდან მეორეში გადადიოდეს, რუსეთის ერთი ნაწილიდან მეორეში* – საუბრობს „მოუსვენრებზე“, რომლებსაც „არ გააჩნიათ მორალური ფასეულობა“.

„*ერთხელაც არ შევხვედრივარ ათეისტს, სამაგიეროდ, შევხვედრივარ მოუსვენრებს, სხვაგვარად ვერ ვუწოდებ მათ. ისინი ყველა ჯურისაა, ვერ მიხვდები, რა ტიპის არიან: დიდები, პატარები, უგუნურები, ნიჭიერები, მათ შორის არიან ყველაზე ღატაკებიც, და ყველაფერი ეს ამაოებაა. რადგანაც მთელი ცხოვრება კითხულობენ და კამათობენ, წიგნიერ სიამოვნებას ეწაფებიან, მუდამ შფოთავენ და ვერაფერი ვერ გადაუწყვეტიათ. ზოგიერთი მთლად დაბნეულია, საკუთარი თავიც დაუკარგავს. ზოგიერთებს გულები ისე გაქვავებია, მხოლოდ ოცნებებში დახეტიალობენ; სხვები კიდევ უფრო გულცივნი არიან და მარტო სხვათა გაქილიკებაზე ფიქრობენ. ზოგნი წიგნებს მხოლოდ თავიანთი კრიტერიუმის მიხედვით ირჩევენ; და არიან მოუსვენრები, მათ არანაირი აზრი არ გააჩნიათ... საოცარი მოწყენილობაა... ზოგმა მთელი მეცნიერება აითვისა და მაინც სულ დარდიანია. ასე რომ, მგონია, რაც უფრო იზრდება ინტელექტი, მით უფრო მატულობს მოწყენილობა... ისინი არ გამოირჩევიან სულიერი მშვენიერებით, მით უფრო, ჩირადაც არ ღირან. ყველა დაკარგულია, ყველა თავის მდგომარეობით ტრაბახობს, მაგრამ ერთადერთ ჭეშმარიტებასთან მიბრუნებას არავინ ფიქრობს, ღვთის გარეშე ცხოვრება კი წამებაა...*“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(ცეზარე ბორი – რაფაელის სიქსტეს მადონას გავლენა რუსულ კულტურაზე. მულინო, ბოლონია, 1990 წ.)

მოამზადა **მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ**

პაპის ახალი წელიწდეული



მსოფლიოში კათოლიკეთა რაოდენობა 15 მილიონით გაიზარდა, ასევე იმატა მღვდლების რიცხვმა, კათოლიკე ეკლესია კომპლექსურად იზრდება აზიასა და აფრიკაში, – ასეთი გახლავთ *პონტიფიქსის ახალი წელიწდეულის* მონაცემები 2012 წლის 10 მარტის მიხედვით. გამომდინარე აქედან, კათოლიკეების რაოდენობა დაახლოებით 1 მილიარდ 196 მილიონს აღწევს; მორწმუნეთა რიცხვი გაიზარდა 1,3%-ით (2009-2010 წლების მონაცემებით) და მსოფლიოში მათი რაოდენობა სტაბილურად არის 17,5%.

პირველი საგულისხმო მონაცემი მეტყველებს იმაზე, რომ კათოლიკეთა რაოდენობა შემცირდა სამხრეთ ამერიკაში (28,54%-დან 28,34 %-მდე), განსაკუთრებით ევროპაში (24,05%-დან 23,83%-მდე), ხოლო გაიზარდა აფრიკაში (15,15%-დან 15,55%-მდე) და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში (10,41%-დან 10,87%-მდე).

იმატა ეპისკოპოსთა რიცხვმა (5.06-დან 5.10-მდე), კერძოდ, აფრიკაში (+16 ახალი ეპისკოპოსი), ამერიკასა (+15) და აზიაში (+12), მცირე კლება რეგისტრირდება ევროპაში (1.607-დან 1.606-მდე) და ოკეანეთში (132-დან 129-მდე).

შეინიშნება მღვდელთა რიცხვის ზრდის ტენდენცია, რაც ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო: აქ საუბარია 412 ათას მღვდელმსახურზე (277.009 საეპარქიო, 135.227 ბერები), 1.643 ერთეულის ზრდის ტენდენციით. მატება დარეგისტრირდა აზიაში (+1.695 მღვდელმსახური), აფრიკაში (+761), ოკეანეთსა (+52) და ამერიკაში (+40 ერთეული), აშკარა კლება შეინიშნება ევროპაში (-905 მღვდელმსახური). როგორც აღრიცხვამ აჩვენა, ბერების რიცხობრივი კლება შეჩერებულია, 2009 წელს მათი რიცხვი აღწევდა 54.229, ხოლო 2010 წელს 54.665. კლებულობს მონაზონთა რიცხვი, 729.371-დან (2009 წლის მონაცემით) 721.935-მდე.

ბოლო ხუთწლეულში სტაბილურად გაიზარდა (+4%) ფილოსოფიისა და თეოლოგიის სტუდენტთა რიცხვი სასულიერო და საეპარქიო სემინარიებში: 114.439-დან (2005 წ.) 118.990-მდე (2010 წ.). მაგრამ, ამ მხრივ კლებაა ევროპასა (-10,4%) და ამერიკაში (-1,1%), სემინარისტების რიცხვმა იმატა აფრიკაში (+14,2%), აზიასა (+13,0%) და ოკეანეთში (+12, 3%).

კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი

თურქეთში უკვე ბევრს ფიქრობენ რელიგიურ უმცირესობათა სტატუსზე; კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი, ბართოლომეო I მიიწვიეს თურქეთის ეროვნულ ასამბლეაზე, სადაც საუბარი შეეხო ახალი კონსტიტუციის რედაქტირებას, განსაკუთრებით კი რელიგიური უმცირესობის თემას. თებერვლის თვის მეორე დეკადაში, – როგორც ფრანს-პრესის სააგენტო იუწყება, – ბერძნული ეკლესიის სულიერი წინამძღვარი ამასთან დაკავშირებით გაახმიანებს თავის მოსაზრებას სპეციალური საპარლამენტო კომისიის წინაშე და ასევე მოუსმენს ქვეყანაში აღიარებული სხვადასხვა რელიგიური საკრებულოების წარმომადგენლებს (სომხეთის, სირიის, ებრაელთა სათემოები). თურქეთში, მუსულმანებით დასახლებულ ქვეყანაში, ეს ნაბიჯი დადებითად შეფასდა რელიგიურ უმცირესობათა მიერ, რომლებიც გარკვეულ ძვრებს ამჩნევენ სახელმწიფოს მხრიდან; განსაკუთრებით გამოხატავენ სურვილს, რომ, რევიზიისა და ახალი საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში, იურიდიული აღიარება და ლეგალური წარმომადგენლობის ნებართვა მიიღოს ლათინური რიტის კათოლიკე ეკლესიამ. ბოლო ხანებში, განათლების სამინისტროს ფარგლებში, მზადდება კანონი, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური უმცირესობების სკოლებში მათივე საკრებულოს ბავშვების მიღებას, რომლებიც თურქეთის მოქალაქეები არ არიან. კანონპროექტი ითვალისწინებს იმას, რომ ბერძნულ-ორთოდოქსული, სომხური, სირიული და ებრაული თემის ბავშვებმა შეძლონ განათლების მიღება მათივე სათემო სკოლებში. ამგვარად, შეიძლება რელიგიურ უმცირესობათა სკოლები დახურვას გადაურჩეს; და ბოლოს, გაიხსენეს გასული წლის აგვისტოს დეკრეტი, რომლის საფუძველზეც ანკარის მთავრობამ გადაწყვიტა, რელიგიური სათემოებისთვის დაებრუნებინა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამორთმეული ქონება. გასული წლის ნოემბერში, თურქეთში ფონდის გენერალურმა დირექციამ (სამთავრობო ორგანო) იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა არაისლამურ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებიც ლოზანას 1923 წლის ხელშეკრულებით არიან აღიარებულნი. პირველი ოფიციალური ნაბიჯი იყო ბერძნული ისტორიული ფონდის „Beyoglu“ იურიდიული აღიარება. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბერძნულ-ორთოდოქსული, სომხური და ებრაული საკრებულოების სასარგებლოდ. რელიგიურ უმცირესობათა დაჯგუფებები, რომლებიც საქმიანობენ საქველმოქმედო თუ სოციალურ სფეროში, ასევე ჯანდაცვისა და განათლების კერებში, იძულებულნი გახდნენ, კერძო ფონდები დაეარსებინათ, რამდენადაც არ ფლობდნენ იურიდიული პირის სტატუსს. როგორც ცნობილია, საქმე სულ სხვაგვარად არის ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიასთან, რომელიც ლოზანას ხელშეკრულებაში აღიარებულ საკრებულოთა შორის არ მოიხსენიება.

© Osservatore Romano – 7 febbraio 2012

ყველაზე დიდი საჩუქარი

პრეზენტაცია რეპრინტისა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“

ჟურნალ „საბას“ მკითხველმა კარგად იცის, რომ გასული 2011 წელი მამა მიხეილ (მიქელე) თამარაშვილის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთვს მიეძღვნა. გამოჩენილი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, უცხოეთის არქივებში ქართული ისტორიული დოკუმენტების პირველი მკვლევარი და რაც აუცილებელია, აღინიშნოს ამ მრავალმხრივი პიროვნების დასახასიათებლად – ჭეშმარიტი მღვდელმსახური და მოძღვარი, რომელმაც სრულიად უცხო ადამიანის გადასარჩენად უყოყმანოდ გასწირა სიცოცხლე.

მამა მიხეილ თამარაშვილი თამამად შეიძლება სრულიად საქართველოს სულიერი ერთიანობის სიმბოლოდ აღვიქვათ და არა უბრალოდ კათოლიკე მღვდელმსახურად. შემთხვევითი არაა, რომ მისი თბილისში გადმოსვენებისას, დიდუბის პანთეონში სასულიერო მსახურება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ აღავლინა და ქადაგების დროსაც დიდი პატივი მიაგო იტალიაში ტრაგიკულად დაღუპულ ქრისტიან მღვდელმსახურს, მამა მიქელე თამარაშვილს. **„ქართველმა ხალხმა, ამ ნათელ დღეს, ერთხელ კიდევ ღრმად იწამა თვისი უკვდავება, ერთხელ კიდევ ეზიარა იმ მაღალ სიწმინდეს, რომელიც ასე აუცილებელი და საჭიროა მისთვის“**, – წერდა 1978 წელს საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური გამოცემა – ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“.

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრაციასთან არსებული კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიის ინიციატივით (კომისიის ხელმძღვანელი მ. გაბრიელე ბრაგანტინი), 2011 წელი მ. მიხეილ თამარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ წლად გამოცხადდა და მრავალი საინტერესო ღონისძიებაც ჩატარდა. საიუბილეო ღონისძიებებში, კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად, აქტიურად ჩაება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტაცია და ახალციხის გამგეობა, თბილისისა და ახალციხის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საქართველოსა და იტალიის საელჩოები, ამ ორი ქვეყნის კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები, რიგითი მოქალაქეები. სახელმწიფო თუ პირადი ინიციატივით, გამოიცა წიგნები. ამ წერილში მხოლოდ ორ გამოცემაზე შევჩერდებით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში, მ. მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავთან დაკავშირებით, მომზადდა და რეპრინტის სახით გამოიცა თბილისში, 1902 წელს ავტორის მიერ გამოცემული წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. ეს ნაშრომი, რომელშიც მ. თამარაშვილი, ვატიკანისა და უცხოეთის სხვადასხვა არქივებში მოძიებულ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს ჩვენს ქვეყანაში რომის კათოლიკე ეკლესიის დაფუძნებისა და მოღვაწეობის შესახებ, მეცამეტე საუკუნიდან ვიდრე მეოცე საუკუნემდე. ფაქტობრივად, ამ ვრცელ, თითქმის 900 გვერდიან წიგნში პირველად გამოქვეყნდა უცხოეთის არქივებში დაცული უნიკალური ისტორიული მასალა, რომლის გარეშეც საქართველოს წარსულზე შეუძლებელი იყო სრული სურათის წარმოდგენა. ასევე, მისმა ავტორმა ევროპასაც გააცნო მანამდე უცნობი დიდი კულტურის მქონე ქვეყანა.

მ. თამარაშვილის ამ პირველი წიგნის გამოცემიდან (*აქვე აღვნიშნავთ, რომ 1902 წელს ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელი ამხანაგობის სტამბაში გამოცემული „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე განხორციელებული და არაჩვეულებრივად მაღალი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილი, რომლის მსგავსიც დღეისათვის აღარ მზადდება)* თითქმის 110 წელი გავიდა და კარგა ხანია, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული, არადა ამ წიგნზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსთა, ასევე ისტორიის, კულტურისა და რელიგიის სფეროებით დაინტერესებულ რიგითი მკითხველის მხრიდან. ასე რომ კულტურისა და ძეგლ-

▶ 16 გვ.

თა დაცვის სამინისტრომ ფრიად კარგი საჩუქარი გაუკეთა ქართულ საზოგადოებას. უნდა აღინიშნოს პირადად კულტურის მინისტრის, ბატონ ნიკა რურუას დიდი მხარდაჭერა აღნიშნული წიგნის გამოცემაში. კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიის წევრებთან შეხვედრის დროს, მინისტრმა თავად შესთავაზა მათ თანადგომა და დახმარება საიუბილეო ღონისძიებათა განხორციელებაში და აღუთქვა დახმარება მ. თამარაშვილის წიგნის გამოცემაში. მართლაც, უმოკლეს ვადაში, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა 850 გვერდიანი წიგნის რეპრინტი. რეპრინტი მომზადდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „სიესტა“-ს მიერ.

2012 წლის 2 მარტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა მ. მიხეილ თამარაშვილის წიგნის – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ რეპრინტის წარდგენა. კულტურის მინისტრმა თავად გახსნა წიგნის პრეზენტაცია, მოკლედ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას დიდი მეცნიერის ღვაწლის, მისი მამულიშვილური მოღვაწეობის შესახებ, რის გამოც რუსეთის ცარისტულმა რეჟიმმა სამშობლოდან გააძევა მამა მიქელე თამარაშვილი. შემდგომ ბატონმა ნიკა რურუამ რეპრინტის გამოცემის მნიშვნელობაზე ისაუბრა. „ეს წიგნი საკმაოდ დიდი ტირაჟითაა გამოცემული და გვინდა, რომ ყველა ბიბლიოთეკას გადავცეთ საჩუქრად, რათა ქართველ ხალხს საშუალება ჰქონდეს, გაეცნოს ჩვენი ისტორიის შესახებ შექმნილ ამ მნიშვნელოვან გამოკვლევას“, – აღნიშნა მან. წიგნის წარდგენის შემდგომ, მინისტრმა დასძინა, რომ „აქ მრავალი პატივცემული ადამიანია შეკრებილი და სურვილიც მრავალს აქვს სიტყვით გამოსვლისა, მაგრამ მხოლოდ ორ ადამიანს ვთხოვ, მიმართოს დამსწრე საზოგადოებას, კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსს მეუფე ჯუზეპე პაზოტოს და მიხეილ თამარაშვილის საიუბილეო ღონისძიებათა ერთ-ერთ ინიციატორს, მამა გაბრიელე ბრაგანტინის“.

მეუფე ჯუზეპე პაზოტომ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მამა მიქელე თამარაშვილი, უპირველეს ყოვლისა, კათოლიკე ეკლესიის მღვდელმსახური და მოძღვარი იყო. როგორც ნამდვილი ქრისტიანი, იგი თავისი ცხოვრებითა და მსახურებით საუკეთესო მაგალითს აძლევდა საზოგადოებას. მან ბევრი გააკეთა კათოლიკე და მართლმადიდებელი მრევლის სულიერი დაახლოებისათვის. დარწმუნებული ვარ, მისი სული ზეციდანაც ეხმარება საქართველოს. ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ მამა მიქელე თამარაშვილს მისი ცხოვრებისა და ღვაწლისათვის, იმისათვის, რაც მან თავისი სამეცნიერო საქმიანობის შედეგად დაუტოვა საქართველოს“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი თავის გამოსვლაში მოკლედ შეეხო მიხეილ თამარაშვილის ღვაწლს, მისი ნაშრომის მნიშვნელობას ევროპულ-ქართული ურთიერთობებისათვის. გამოსვლის დასასრულს, მ. გაბრილემ უკვე ბატონ ნიკა რურუას მიმართა: „ეს წელი – 2012 არის მიქელე თამარაშვილის სულიერი მეგობრის, დიდი მამულიშვილის, ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავი. ივანე გვარამაძე ახალციხეში მოღვაწეობდა და იქვე, კათოლიკურ მონასტერთან მდებარე სასაფლაოზეა დაკრძალული. კათოლიკე ეკლესიას საქართველოში გადაწყვეტილი აქვს, ფართოდ აღნიშნოს ივანე გვარამაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წელი. შემოდგომისთვის დასრულდება სამონასტრო კომპლექსის სრული აღდგენა და იუბილეც მასშტაბურად ჩატარდება, საზოგადოება კი კარგად გაიცნობს მის კიდევ ერთ ღვაწლმოსილ წინაპარს. იმედი გვაქვს, კულტურის სამინისტრო კვლავაც აქტიურად ითანამშრომლებს ქართველი მამულიშვილისა და სასულიერო პირის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში“.

შეხვედრის დასასრულს, პრეზენტაციაზე მიწვეულ ყველა სტუმარს საჩუქრად გადაეცა მიხეილ თამარაშვილის წიგნი „ისტორია კათოლიკობისა“. უახლოეს ხანში კი მიქელე თამარაშვილის წიგნის რეპრინტი როგორც საქალაქო, ასევე უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებისა და წიგნის მაღაზიების თაროებსაც დაამშვენებს.

* * *

ფიქრები მიხეილ თამარაშვილზე

მ. მიხეილ თამარაშვილს ეძღვნება პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის წიგნი „ფიქრები მიხეილ თამარაშვილზე, რომელიც 2011 წელს გამოიცა. „სწორედ მადლიერებისა და პატივგების ნიშნად, ამჟამად, როცა ქართველი ხალხი ფართოდ აღნიშნავს მიხ. თამარაშვილის გარდაცვალების მე-100 წლისთავს, ჩვენი მოკრძალებული სურვილია, მკითხველს გავუზიაროთ ფიქრები, შთაბეჭდილებანი ამ სასიქადულო ერისკაცზე – ისტორიკოსსა და პიროვნებაზე", – წერს წიგნის წინათქმაში ავტორი და შემდგომ სითბოთი, მოწიწებითა და უშუალობით გადმოგვცემს საკუთარ დამოკიდებულებას დიდი მამულიშვილისადმი.

მიხეილ თამარაშვილის მოკლე ბიოგრაფია, სამშობლოში გადმოსვენების ცნობილი თუ უცნობი დეტალები, მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამები მძივებივით ეწყობა ერთმანეთს და წიგნი, რომელსაც ერთი ამოსუნთქვით ჩაიკითხავ, თვალწინ გიცოცხლებს დიდი, მაგრამ ტრაგიკული ბედის მქონე პიროვნების ამბავს.

წიგნში ქალბატონი ჟუჟუნა ცალკე ეპიზოდად გამოჰყოფს რეზო თაბუკაშვილის ჭეშმარიტად უდიდეს როლს

მ. თამარაშვილის ხელახლა აღმოჩენაში. მართლაც, რომ არა ეს დაუღალავი და უცხოეთში „მიუსაფრად შთენილი“ თანამემამულეების „აღმომჩენი“ პიროვნება, გასული საუკუნის 70-იან წლებში ვის ეცოდინებოდა სიმართლე მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე დაღუპული ქართველი მეომრების, ან იტალიაში მოღვაწე კათოლიკე მღვდლის მიხეილ თამარაშვილის, ან პარიზში ქართული საგანძურის მცველის, ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. ერთი მცირე ამონარიდი ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის წიგნიდან: **„ბატონ რეზოს მ. თამარაშვილის ნეშტის ჩამოსვენებასთან დაკავშირებით თბილისის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო. როცა სცენაზე გამოჩნდა, მე ფეხზე წამოვდექი, ხალხიც ამყვა და მქუხარე ტაში დასცხო. ნატავ ვის წამოუდგნენ ფეხზე, ან ვის უკრავდნენ ტაშს? ბატონ მიხეილს, თუ ბატონ რეზოს? უთუოდ ორივეს ერთად!“** მართლაც, რეზო თაბუკაშვილის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა მიხეილ თამარაშვილის სახელს. შემთხვევითი არ არის, დიდუბის პანთეონშიც რომ ერთმანეთის გვერდით განისვენებენ.

„ნელ-ნელა ჩაიფურცლა გონებაში მიხეილ თამარაშვილის ცხოვრების წიგნი. ერთხელ კიდევ გადავიკითხე მისი ნაშრომები და უსაზღვროდ მადლიერი ვემშვიდობები ამ სამაგალითო მკვლევარსა და გამოჩენილ პიროვნებას იმ იმედით, რომ დროდადრო კვლავაც შევეხმიანო გონებრივი საზრდოსა და სულიერ სიმშვიდის მოსაპოვებლად“, – ამგვარად ასრულებს თავის წიგნს ქალბატონი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი და მკითხველსაც მოუწოდებს, იფიქრონ და იკითხონ მიხეილ თამარაშვილის ნაშრომები, მით უმეტეს, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მეოხებით, ფართო საზოგადოებას უკვე აქვს საშუალება, გაეცნოს დიდი მამულიშვილის ნააზრევს. „ფიქრები მიხეილ თამარაშვილზე“ საქართველოში კათოლიკობის ისტორიის ფუნდამენტური ნაშრომისაკენ მიმავალი ერთ-ერთი ბილიკია.

ნუგზარ ბარდაველიძე

განუსვენე მათ, უფალო!

ფრანკო ხითარიანი
* 05.04.1953 – შრომა
† 19.11.2011 – შრომა

მზევინარ სიგუა
* 20.01.1952 – ფოთი
† 26.02.2012 – ბელორუსია

მარგო არდანციანი-სეროფოვა
* 05.08.1939 – ხაშური
† 21.02.2012 – ხაშური

მედიკო მაისურაძე
* 23.06.1939 – ახალშენი
† 23.02.2012 – ახალშენი

მარიამ მაისურაძე
* 08.11.1926 – უდე
† 19.03.2012 – უდე

თელიაშვილი ელგუჯა
* 29.05.1959 – ვალე
† 18.02.2012 – ვალე

სარჩევი

ეპისკოპოსის სააღდგომო მიმართვა 2
რედაქციის გვერდი 3
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
სიცოცხლის დღე..... 8
ქრისტიანული ოჯახი..... 11
საარქივო მასალები..... 12
ფიქრები სიქსტეს მადონაზე 13
ინფორმაცია 14
ახალგაზრდული გვერდი..... 18
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:
მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2012

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

მოწოდება

როდესაც გვესმის მოწოდების შესახებ, ჩვენ, ჩვეულებრივ, ვფიქრობთ მღვდლობასა და ბერ-მონაზვნურ ცხოვრებაზე. თუ ვინმე ამბობს: „მე ვგრძნობ მოწოდებას“, ჩვენ მაშინვე ვხვდებით, რომ ეს ადამიანი მიდის სემინარიაში ან მონასტერში. ეს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მოწოდებაა ძმებისა და ეკლესიის მსახურებისაკენ, თუმცა, არ არის ერთადერთი ხერხი მოწოდების რეალიზაციისა. სინამდვილეში, ყოველი ადამიანი მოწოდებულია, განახორციელოს მისია თავის ცხოვრებაში, მით უმეტეს, თუ საუბარია ქრისტიანზე. ჩვენ, ყველანი, მოწოდებულნი ვართ ქრისტეში, „რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით“ (ეფ. 1,4). ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ადამიანის მოწოდება – ეს არის სიკეთის რეალიზაციის გარკვეული პერსპექტივა, შესაბამისად, მოწოდება მჭიდრო კავშირშია მორალურ ცხოვრებასთან. ჩვენ ვჩნდებით სამყაროში „არასრულყოფილნი“ და ყოველი ჩვენგანის დავალებაა, სრულ-ყოს თავისი არსებობა სხვებთან ურთიერთობაში (მათთან თანამშრომლობით, მათ მიმართ დახმარებით და მათგან დახმარების მიღებით). ზუსტად მაშინ მორალური პრინციპები (ფასეულობები და ნორმები) ყველასთვის საერთო ხდება (თანაბრად ყველამ უნდა თქვას სიმართლე, უარი თქვას ძალადობაზე, შეასრულოს დანაპირები და ა.შ.). მაშინ, როდესაც საუბარია მოწოდებაზე, მხედველობაში გვაქვს გზა, რომელიც ეძლევა ადამიანს. ყოველმა ადამიანმა უნდა ეძებოს და აღმოაჩინოს ის, რომელშიც შეძლებს განახორციელოს თავისი ცხოვრებისეული დავალება (მისია), აკეთოს სიკეთე იქ, სადაც მოუწოდეს. ადამიანური ცხოვრების გაგება, მოწოდების თვალსაზრისით, გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა. პირველი: ჩვენს ცხოვრებას აქვს აზრი (ჩვენ დედამიწაზე არ ვცხოვრობთ შემთხვევით); მეორე: ეს დაკავშირებულია სიკეთესთან, დავალება მომდინარეობს თვით ღმერთისგან, რომელიც არის ყოველი სიკეთის წყარო; მესამე: ყოველმა ადამიანმა უნდა შეიცნოს და განსაზღვროს, თუ რისკენ მოუწოდებს მას ღმერთი; და ბოლოს, მოწოდება გვაკავშირებს არა მხოლოდ ღმერთთან და საკუთარ თავთან, არამედ სხვა ადამიანებთანაც, რომლებსაც ჩვენი მოწოდებით უნდა ვემსახუროთ. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ გულღიად და ფხიზელი გონებით, რათა შეგვეძლოს ჩვენს ირგვლივ არსებული ნიშნების წაკითხვა, რომელთა მეშვეობითაც ღმერთი გველაპარაკება და მოგვიწოდებს თავისკენ.

თუმცა ცხოვრებაში წარმოიშობა მოწოდების კრიზისი...

ცხოვრობდა საქართველოში ერთი ადამიანი (არა მხოლოდ. ისტორია მეორდება ყველგან), რომელიც სიცოცხლეში პირველად შევიდა ტაძარში; მან არაფერი იცოდა მის შესახებ, იქ მოისმინა ლამაზი მუსიკა, რატომღაც მან თავი იგრძნო საკუთარ სახლში და გაუჩნდა კითხვები, იგი ღმერთს ეძებდა. ეს იყო დასაწყისი იესოს გზით სიარულისა. რა სასიხარულოა! ყველაფერი კარგია, მის წინ გაიხსნა „ია-ვარდებით მოფენილი გზა“. წინ!!! თითქოს იგი სუპერმენია, ყველაფერი შესაძლებელია მისთვის, წმიდანად გახდომაც კი. და რატომაც არა? ანდა წამებულად გახდომა, თუ ღმერთი ინებებს. ეს ადამიანი დადის წირვაზე ყოველდღე და ლოცულობს, იგი არ გამოირჩევა დიდი სულიერებით, თუმც მას აქვს სურვილი. მაგრამ...

ცხოვრობდა სხვა ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ერთხელ, მცირე ხნის, ან დიდი ხნის ძებნის შემდეგ, შეხვდა გოგონას (ან პირიქით, გოგონა, რომელიც შეხვდა ბიჭს), და დაიწყო მარადიული სიყვარული. „ჩემი პრინცი“... „ჩემი პრინცესა“... შენთან ერთად ყველაფერი სხვანაირად გამოიყურება, ჩვენ სიკვდილამდე ერთად ვიქნებით. მაგრამ...

ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენმა პირველმა მეგობარმა იგრძნო, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც იყო დასაწყისში; მან გაიფიქრა, რომ აზრი არ ჰქონდა, კარგი რომ ყოფილიყო. ირგვლივ მყოფნი ისე არ ცხოვრობენ, როგორც თვითონ, და ამაში საშინელი არც არაფერია. ისინი არ დგებიან ადრე, რათა მოასწრონ წირვაზე წასვლა; ან ჩვენმა წმიდანმა მეგობარმა შესცოდა და იმედი დაკარგა სიწმინდისკენ მიმავალ გზაზე. იგი კრიზისშია. რა საშინელებაა!

ჩვენმა შეყვარებულმა წყვილმა კი, თაფლობის თვის შემდეგ, აღმოაჩინა, რომ „დღეს მისი მეორე ნახევარი ცუდ ხასიათზეა, რომ დაავიწდა, მისთვის დაერეკა, მას არ მოსწონს, როდესაც იგი ფეხბურთს უყურებს მეგობრებთან ერთად.“ ან იქნებ, ის გოგონა, ან ბიჭი არც ისე სრულყოფილი იყო, როგორც გვეგონა. ეს აღმოჩენა ჰგავს შინაგან მიწისძვრას. ყველაფერი ირყევა ჩვენს ირგვლივ. კრიზისია. რა საშინელებაა!

განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, კრიზისი არის:

1. მძაფრი, ძლიერი გარდატეხა რაიმეში. ავადმყოფობის კრიზისი, სულიერი კრიზისი, კრიზისი მმართველობაში (რომელიც გამოწვეულია მძაფრი პოლიტიკური უთანხმოებით, მთავრობის ნაწილობრივი, ან სრული წასვლით).
2. ეკონომიკური ცხოვრებით განპირობებული საზოგადოებრივი უთანხმოება, ეკონომიკური კრიზისი, ხელახალი წარმოების კრიზისი.
3. რთული, დამაბრკოლებელი მდგომარეობა – ფინანსური კრიზისი.

რა გავაკეთოთ? რას დავეყრდნოთ?

- პირველი. გავიხსენოთ წმიდა ეგნატე ლოიოლას სიტყვები: „მიტოვებულობის დროს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმეს შეცვლა, როდესაც დაღლილი და დაბნეული ხარ, საჭიროა მტკიცედ იდგე იმ განზრახვაში, რომელიც გქონდა უწინ.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც თავს ცუდად ვგრძნობთ, რთულია სწორი გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ სასურველია, დაველოდოთ ნათელ გონებას.
- მეორე. საჭიროა, შევაფასოთ სიტუაცია და განვსაჯოთ, რისი შეცვლა შეგვიძლია და რისი არა. ღმერთთან და ადამიანებთან ურთიერთობაში არის ისეთი რამ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული და შეგვიძლია მასზე გავლენის მოხდენა, მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რაც ჩვენზე არაა დამოკიდებული და აქ რთულია გავლენის მოხდენა.
- მესამე. საჭიროა, ეძებო დახმარება. მხოლოდ ბარონ მიუნჰაუზენის გმირს შეუძლია საკუთარ თმაში ხელის წავლებით ჭაობიდან ამოსვლა. ეკლესიის ორიასთასწლიანი ისტორიის მანძილზე, ვიღაცამ უკვე გაიარა ის, რასაც შენ გრძნობ ახლა; ესაუბრე იმ ადამიანს, რომელმაც უკვე ცოტათი წინ წაიწია რწმენაში, ყური დაუგდე რჩევებს და ღმერთს მიეცი საშუალება, იმოქმედოს შენს ცხოვრებაში შუამავლების მეშვეობით.

ბოლოს და ბოლოს, საჭიროა, ვისწავლოთ მოთმინება, პრობლემები ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. როდესაც ბავშვები ვერ ღებულობენ იმას, რაც სურთ, აწყობენ ისტერიკას და ცდილობენ, სკანდალური გზით მიაღწიონ სასურველს. **ზრდასრული ადამიანი აწყდება პრობლემას, არ ივიწყებს იმას, რომ ღმერთი ჩვენ მოგვმართავს პრობლემის საშუალებითაც. ამ შემთხვევაში ჩვენ გვეძლევა საშუალება, შევამოწმოთ ჩვენი რწმენის სიღრმე.**

ჩვენ შეგვიძლია, ვესაუბროთ ღმერთს და ვთხოვოთ დახმარება, რადგან რწმენას მოაქვს შედეგი: „სიმდიდრესა და სიღარიბეში, ავადმყოფობასა და ჯანმრთელობაში, სიხარულსა და მწუხარებაში, მთელ ცხოვრებაში“. და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველაფერი კარგად არის. კრიზისი არის შანსი იმისა, რომ გავიზარდოთ, ხანდახან საჭიროა რაღაცაზე უარის თქმა. ხოლო თუ ჩვენ გამოვიყენებთ ამ შანსს, ღმერთის დახმარებით შევძლებთ, გამოვიდეთ კრიზისიდან, როგორც „ახალი ქმნილება“.

მოამზადა **მამა მიშა სურმავამ**

ხწმენა და იმედი

ვალეს სამრევლოში ტრადიციად იქცა ახალგაზრდებთან სულიერი ვარჯიშების ჩატარება, რაზეც განუწყვეტლივ ფიქრობს და ზრუნავს მამა ზურაბ კაკაჩაშვილი. დიდმარხვის დადგომასთან ერთად, ჩვენ მოუთმენლად ველოდით, როდის დაიწყებოდა ამ მნიშვნელოვანი პერიოდის შესაბამისი რეკოლექციები. და აი, დიდმარხვის მე-3 კვირას, 11 მარტს ეს ნანატრი დღეც დადგა.

ალბათ, „საბას“ მკითხველებს ახსოვთ, რომ ადვენტის დროს ჩვენი რეკოლექციის თემა იყო „სიჩუმე და ლოცვა“. ამჯერად კი მამა ზურაბმა შემოგვთავაზა თემა – „იმედი და რწმენა“.

11 მარტს, წმ. წირვის შემდეგ, მამა ზურაბმა ახალგაზრდულ ცენტრში, რეკოლექციებზე მოგვიხმო ყველა. როგორც ნეტარი დედა ტერეზა ამბობდა: სიჩუმე შობს ლოცვას, ლოცვა კი – რწმენას (იმედს). აღნიშნულ თემაზე საუბარი ძალიან დაგვეხმარა ახალგაზრდებს ჩვენი შინაგანი გრძნობების გარკვევაში, შინაგან სულიერ ბრძოლაში, რასაც ყველა განვიცდით, განსაკუთრებით კი ახლა, დიდმარხვის ჟამს.

თემის განხილვის შემდეგ, ახალგაზრდები ჯგუფებად დავიყავით და ვეცადეთ, გულწრფელი პასუხი გაგვეცა მამა ზურაბის მიერ მომზადებულ სამ კითხვაზე:

1. წინა სულიერი ვარჯიშიდან მოყოლებული (04.12.2011) დღემდე, თუ ეცადე ყოველდღიურად ცოტათი მაინც დაგეცვა სიჩუმე? ძნელი იყო ამის შესრულება? რამდენ ხანს ახერხებდი სიჩუმის დაცვას და რა სიხშირით?
2. დიდმარხვის დროს, და საერთოდ, ხომ არ გიჭირს ლოცვა? რა სახის სიძნელეებს აწყდები ამ მხრივ?
3. რა სიხშირით ამბობ აღსარებას და რას განიცდი ამ დროს?

ჯგუფებში კითხვებზე მუშაობის შემდეგ, კვლავ მოცემულ თემას მივუბრუნდით, დრო სწრაფად გარბოდა; რადგანაც მამა ზურაბს სხვა საკრებულოებშიც უნდა ჩაეტარებინა წმ. წირვა, რეკოლექცია გააგრძელა მამა მიროსლავ პიკუსმა, რომელიც ერთი თვის წინ მოავლინეს ჩვენს საკრებულოში. მართალია, მამა მიროსლავმა ჯერ კარგად არ იცის ქართული, მაგრამ მან, თაყვანისცემამდე, წაგვიკითხა მარკოზის სახარებიდან ბრმის განკურნების ეპიზოდი (8,22-26) და გასაგებად აგვიხსნა კიდეც. მ. მიროსლავმა მოცემული თემის ირგვლივაც გააკეთა ღრმა, შინაარსიანი და ლამაზი კომენტარი, რომელსაც თაყვანისცემის დროს შიგადაშიგ ვკითხულობდით, რამაც სითბო ჩაგვიღვარა გულებში. იმ დღეს ძალიან ყინავდა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვგრძნობდით, რადგან რეკოლექციიდან გამოყოლილი სითბო გვათბობდა.

ვალეს ახალგაზრდების ჯგუფი

არალი, 19 მარტი

მთავარეპისკოპოსი მარეკ სოლჩინსკი კათედრალში

მიხეილ თამარაშვილის წინგის პრეზენტაცია

მოხალისეები

ხიზაბავრა, დედის დღე

უდე – „იმედის“ ცენტრის ახალგაზრდები ბაკურიანში